ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მაგისტრანტი: დარასელია დიმიტრი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-
პროფესორი ლალი ხურცია

თბილისი

2020

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელ ეკონომიკურ პოლიტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს მისი გადამწყვეტი როლი არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სხვა ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის, რომელთაც წინსვლასა და განვითარებაზე აქვთ პრეტენზია. შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, ნაშრომის ძირითადი მიზნები და პრობლემათა აღმოფხვრის გზები და საშუალებები. აქვე ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საქართველო წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო სახელმწიფოს სხვადასხვა ქვეყანას შორის და ეს ერთ-ერთი მიზეზია იმ მიზეზთა ჩამონათვალიდან, რის გამოც ქვეყანა ესოდენ დიდ ყურადღებას იქცევს ინვესტორთა მხრიდან. მიუხედავად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა, ჩვენი ქვეყანა რიგი გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც აფერხებს ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საქართველო წარმოდგენილია, როგორც ინვესტირებისათვის ხელსაყრელი და მიმზიდველი ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა ადმინისტრაციული და სამართლებრივი წესების სიმარტივით, ინფორმაციული ასიმეტრიის სიმცირით და სტრუქტურათა გამჭვირვალობით. პირველ თავში მოთხრობილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიულ წარმომავლობაზე; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღქმა და მისი როლი ეკონომიკაში მუდმივ ცვლილებასა და დახვეწას განიცდიდა მანამ, სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა. მერკანტილისტებით დაწყებული და ფიზიოკრატებით დამთავრებული, ეკონომიკის კლასიკოსები, მონეტარისტები და სხვა ეკონომიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნებიან, თუმცა ყველა დროებაშია ყურადღება გამახვილებული ისეთ ცნებაზე, როგორიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია, ვინაიდან თავიდანვე იყო მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შემჩნეული. უცხოური ინვესტიციების განხილვისას არ შეიძლებოდა ხაზგასმის გარეშე დარჩენილიყო მისი კლასიფიკაციები, რომელიც მკვლევარებს საშუალებას აძლევს, ინვესტირების ესა თუ ის სახე ერთმანეთისგან განასხვაონ. იგი ბევრი ასპექტის მიხედვით იყოფა და მათ შორისაა: ფორმები, სახეები, მიმართულება და სხვ. ინვესტირების ისეთი სახეობები გამოიკვეთა, რომლის

საქართველოში დანერგვის შემთხვევაში დიდია შანსი იმისა, რომ მან გაამართლოს და ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკის იმიჯის გაუმჯობესებას.

თანამედროვე სამყაროში ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ქვაკუთხედია და ამას მრავალი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები ადასტურებს. ბევრი სახელმწიფოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა იყო ის გადამწყვეტი ნაბიჯი, რამაც ეკონომიკათა გაჯანსაღება და ქვეყნების დაწინაურება გამოიწვია. სწორედ ამ მიზნით, მეორე თავი დათმობილია მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებზე, ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე; განხილულია, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ამ ქვეყნებში და როგორ უკავშირდება სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. აღმოვაჩენთ, რომ სპეციალისტების ნაწილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებით, ნაწილი კი უარყოფით კავშირს ამჩნევს - თუმცა, უმრავლესობის პრინციპით კავშირი დადებითად არის აღიარებული. საქართველო, ისევე როგორც განხილული 14 სახელმწიფო, ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყანას წარმოადგენს და ამიტომაც, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე გავაანალიზოთ, ჩვენი ქვეყანა განვითარებით ჩამორჩება თუ უსწრებს დანარჩენებს. თუ აღნიშნული თავის პირველ ნაწილში საქართველო პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან პარალელში არის გაანალიზებული, მეორე ქვეთავში უშუალოდ ცალკე ჩვენი ქვეყანაა განხილვის ობიექტად აღებული და საუბარია სახელმწიფოს მიმდინარე მდგომარეობასა და შედეგების ავ-კარგიანობაზე. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო შესაბამისი ზომების მიღება, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ვითარება ხელს უშლიდა ქვეყნის წინსვლას. რეფორმების განხორციელება და შესაბამისი კანონებისა, თუ ნორმების შემუშავება 2003 წლიდან იწყება, ,,ვარდების რევოლუციის'' შემდგომ. აქედან მოყოლებული დღემდე საქართველო საკმაოდ ბევრი კრიტერიუმის მაჩვენებლით დაწინაურდა და საპატიო პირველი ადგილები დაიკავა, თუმცა ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ დგას ბევრი გამოწვევა, რომელსაც აუცილებლად აღმოფხვრა და მოგვარება სჭირდება.

ნაშრომის მესამე თავში სწორედ იმ გამოწვევებსა და სირთულეებზეა საუბარი, რაც ჩვენს ქვეყანას დღემდე ხელს უშლის, ფაქტორებად არის ჩამოყალიბებული ის

ასპექტები, რაც სახელმწიფოს გადასაჭრელ ამოცანათა სიას ქმნის. ხელისუფლება შეიმუშავებს სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს, რომელიც პუნქტებად ითვალისწინებს იმ ღონისძიებების გატარებას, რაც საქართველოსათვის დადებითი შედეგების მომტანი იქნება. დოკუმენტებში ძირითადად საქართველოს იმ ძლიერ მხარეებზეა ყურადღება გამახვილებული, რაც ქვეყანას ისედაც გააჩნია და მისი შემდგომი გაღვივებაა საჭირო. პირველ ქვეთავში განხილულია ახალი კორონავირუსი და ის შედეგები, რაც მისმა გამოჩენამ მოუტანა საქართველოს. ბოლო თავის მეორე ქვეთავში განვიხილავთ იმ უპირატესობებს და პოტენციალს, რაც საქართველოს გააჩნია ინვესტირებათა მოცულობის გასაზრდელად და რასაც უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციებიც ეთანხმებიან; ასევე, ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შემუშავებული ღონისძიებები, რომლებმაც ინვესტიციების მოზიდვა უნდა გააქტიუროს და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გააძლიეროს. მხოლოდ პოტენციალის სწორად გამოყენებაც საკმარისია მიზნის მისაღწევად - ჩვენი ქვეყანა იქცეს ინვესტორებისათვის მიმზიდველ სახელმწიფოდ და რაც შეიძლება მეტად ცნობადი იყოს. სამივე თავის შეჯამების საფუძველზე, მთლიანი ნაშრომი დასკვნის სახით მოკლედ არის შეჯამებული.

Abstract

This thesis is dedicated to the important role of Foreign Direct Investment in Georgian economy. It should be noted that its crucial role is not only for Georgia, but also for any type of economy in the country, which has a claim to progress and development. The introduction justifies the relevance of the topic, the main goals of the whole thesis and the ways and means of eliminating the problems. There is also emphasized the fact that Georgia is an important transit country between different countries and this is one of the reasons why the country attracts so much attention from investors. Despite the favorable geographical location, our country faces a number of challenges that hinder the further development of the economy and improve welfare. Georgia is presented as a favorable and attractive country for investment, characterized by simplicity of administrative and legal rules, lack of information asymmetry and transparency of structures. The first chapter tells about the theoretical origins of foreign direct investment; Over the centuries, the perception of FDI and its role in the economy has undergone constant change and refinement before it took on its present form. Beginning with mercantilists and ending with physiocrats, the classics of economics, monetarists, and other economic currents belong to different epochs, although all time focusing on the concept of foreign direct investment, since its vital role has been important from the beginning. When discussing foreign investment, its classifications could not be left without emphasis, which allows researchers to distinguish between this and that type of investment and not to confuse the results of research. It is divided into many aspects and includes: shapes, faces, directions, etc. Types of investment have been identified, the introduction of which in Georgia has a great chance to justify it and create favorable conditions for improving the image of the country's economy.

Investment in the modern world is a cornerstone of economic growth, as evidenced by many public and private organizations. The growth of foreign direct investment flows in the economies of many states was a crucial step that led to the recovery of economies and the advancement of countries. It is for this purpose that the second chapter is devoted to the current trends in the world, mainly following the example of the Post-Soviet countries; It discusses the situation in these countries and how other economic indicators are directly related to foreign investment. We find that some experts see a positive correlation between the flows of FDI and economic growth, while others see a negative link - however, the principle of majority is positively recognized. Georgia, like the 14 countries discussed, is a member of the former Soviet Union, and therefore it is important to analyze it on the basis of comparisons with other countries if our country lags behind in development or surpasses the rest. If in the first part of the above Georgia is analyzed in parallel with the post-Soviet countries, in the second sub-chapter our country is taken separately as an object of discussion and we are talking about the current state of the state and the well-being of the results. As soon as independence was achieved, appropriate measures were taken, but the situation in the country prevented the country from moving forward. Implementation of reforms and relevant laws began in 2003, after the "Rose Revolution". From then until today, Georgia has advanced by quite a number of criteria and has taken honorable first places, but the country still faces many challenges that must be eliminated and resolved.

The third chapter of the paper discusses the challenges and difficulties that hinder our country to date, the factors that shape the list of tasks that must be solved by the state. The government develops strategies and action plans, which includes the implementation of measures that will bring positive results for Georgia. The documents focus on Georgia's strengths, which the country already has, and its further awakening. The first subheading discusses the new coronavirus and the consequences of its appearance in Georgia

In the second sub-chapter of the last chapter, we discuss the advantages and potential that Georgia has to increase the volume of investments and what foreign international organizations

agree on. Also, measures have been taken to combat the new coronavirus, which should intensify investment and strengthen our country's economy.

It is enough to use the potential properly to achieve the goal - to make our country an attractive state for investors and as recognizable as possible. Based on the summary of all three chapters, the entire thesis is summarised as a conclusion.

სარჩევი

შესავალი 8

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა ახალი გამოწვევების წინაშე 13

1.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებელი პირობები .....

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა გლობალური პანდემიის პირობებში .....

1.2. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში 15

2.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზა 35

თავი 2. მაკროეკონომიკური გარემოსა და სარეიტინგო ინდიკატორების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე 43

2.1.მაკროეკონომიკური გარემოს ანალიზი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე .....

2.2.სარეიტინგო ინდიკატორები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე 52

თავი3.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში და მისი განხორციელების პერსპექტივები პოსტკრიზისულ პერიოდში 62

1.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელი ფაქტორები და სირთულენი .....

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელი ფაქტორების დაძლევის გზები 68

დასკვნა 77

შესავალი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესწავლასა და ანალიზს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში საკმაოდ დიდი დრო ეთმობა და იგი ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხზე მუშაობს არაერთი მეცნიერი. საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს გლობალური ბიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას, რომლის დროსაც უცხოური კომპანიების მხრიდან ხორციელდება კაპიტალის დაბანდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის მიხედვით, მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური სისტემები(განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური სისტემები) ინვესტიციათა ნაკადების ზრდისკენ არის მიმართული. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული. თანამედროვე ლიტერატურაში, პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საკმაოდ ფართოდ განიხილება პრინციპები, რომელთა პრაქტიკაში გატარებაც შემდგომში ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყანაში ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს შექმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 80 იან წლებამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ მსფლიო ეკონომიკაში გავრცელებული იყო განსხვავებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, ყურადღება გამახვილებული იყო ინვესტიციათა მიმღები ქვეყნებისთვის მათ უარყოფით ზეგავლენაზე. [1]აღნიშნულმა მიდგომამ მეორე

---

1 ჯანჯღავა, ქრისტინე. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე(საქართველოს მაგალითზე).“ თბილისი, 2012.

მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ტრანსფორმაცია განიცადა და მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი დიდწილად გაიზარდა. აღნიშნული პერიოდიდან ტრანსნაციონალური კორპორაციების(ტნკ) მიერ განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდმა ნაკადებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ტექნოლოგიების სფეროში, ამ უკანასკნელმა კი ხელი შეუწყო მსოფლიოში ვაჭრობისა და ინვესტიციათა რეჟიმის ლიბერალიზაციას. ამ კუთხით, გლობალიზაცია შესაძლებლობებს ქმნის, რათა განვითარებადმა ქვეყნებმა ინვესტიციებისა და ვაჭრობის საშუალებით, სწრაფ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიონ. საქართველოს რაც შეეხება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, **ექვსი სახის გადასახადი**, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი მყარ საფუძველს წარმოადგენს ქვეყანაში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისთვის. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ადრეული დროიდან წარმოადგენს სხვადასხვა რეგიონებისა და ეკონომიკების კვეთის წერტილს; ჩვენი ქვეყანა უმოკლეს სატრანზიტო მარშრუტს წარმოადგენს ნავთობითა და გაზით მდიდარ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის როგორც მშრალი, ისე თხევადი ტვირთების ტრანსპორტირებისთვის. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ქვეყანაში ინვესტირების დადებით მხარეებს წარმოადგენს:

1. *კეთილსასურველი გარემო ბიზნესისთვის;*
2. *დაბალი გადასახადები;*
3. *მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება;*
4. *ეფექტური,ბიზნესის მხარდამჭერი და არაკორუმპირებული მთავრობა;*
5. *კონკურენტული ფასები;*

6. *კრიმინალის დაბალი დონე;*
7. *სტაბილური და კონსერვატულად მართვადი საბანკო სექტორი;*
8. *საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ვაჭრობის,ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდება.*
9. *მოქნილი შრომითი კანონმდებლობა და ა.შ.*[2]

ზოგადად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების არსებობას სხვადასხვა ემპირიული კვლევა ადასტურებს ეკონომიკურ ლიტერატურაში. ერთ-ერთი ემპირიული კვლევის თანახმად, დადასტურებულია მათი უარყოფითი დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდაზე,რაც არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობას ეფუძნება. თუმცა, აღსანიშნავია ასევე, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ემპირიული კვლევების უმეტესობა გვიდასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიურ ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. კროსკას, ბენგოა&კალვოსა და სანჩეს რობლესის, ბორენშტეინისა და დე გრეგოლიო&ლის კვლევები გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ზეგავლენას მიმღების ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც თავის მხრივ, აღნიშნულ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვებას უწყობს ხელს. [3]განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, დაინტერესებულები არიან, უცხოურ ინვესტიციათა რაც შეიძლება დიდი ნაკადები მოიზიდონ, ვინაიდან ეს უკანასკნელი ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

თეორიული ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ენდოგენური მოდელი, ინდუსტრიონალიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელები, ხაზს უსვამენ მიმღები ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე - მწარმოებლურობის ზრდა, ხელმისაწვდომი ,,ნოუ ჰაუ'', ახალი პროცესების დანერგვა,მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება და მრავალი

---

[2] ,,*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.''2017*

[3] ჯანჯღავა, ქრისტინე. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე(საქართველოს მაგალითზე).“ თბილისი, 2012.

სხვა. საბოლოო ჯამში, ეს პროცესები დადებითად მოქმედებს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციაზე. აღნიშნული მსჯელობა ეხება საქართველოსაც, რომლის საუკეთესო განლაგებას და ინვესტირებისთვის მიმზიდველობას აღიარებს არამხოლოდ ჩვენი ქვეყანა, არამედ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციაც. მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური კაპიტალისათვის; ქვეყანას არ გააჩნია არანაირი შეზღუდვა უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით, ისეთ სექტორებში, როგორებიცაა: ნავთობისა და გაზის სფერო, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, სამთო მრეწველობა, ენერგეტიკა, მსუბუქი წარმოება, კავშირგაბმულობა, საბანკო სექტორი, ტრანსპორტი, დაზღვევა, მედია, მშენებლობა, ტურიზმი და სხვ; [4]ბანკის კვლევებში ასევე აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს უცხოური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საწარმოთათვის, რეგისტრაციის სიმარტივით და მასზე დახარჯული დღეების მიხედვით- ბიზნესის რეგისტრაციისთვის საქართველოში საჭიროა სულ რაღაც 4 დღე მაშინ, როდესაც, მაგალითად, ჩინეთში აღნიშნულ პროცედურას 3 თვეზე მეტი დრო სჭირდება[5].

საქართველოში ინვესტირებისათვის საჭირო არ არის ინვესტიციის წინასწარი დამტკიცება სამთავრობო ორგანოების მხრიდან, რაც ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საკმაოდ ბევრ სირთულეს აცილებს პოტენციურ ინვესტორებს. 2019 წლის კვლევის თანახმად, საქართველოს 190 ქვეყანას შორის საპატიო მე-6 ადგილი უჭირავს ბიზნესის კეთების სიმარტივით და მან ეს მაჩვენებელი გააუმჯობესა 2018 წელთან შედარებით(190 ქვეყანას შორის მე-9 ადგილი)[6]. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს

---

4 *Worldbank.org.* 2018.

5 Worldbank. *https://Worldbank.org.* 2018.

6 Doingbusiness. *Doingbusiness.org.* 2019. https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report_web-version.pdf.

პრინციპული ხასიათის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის და ,,ანეიტრალებს'' იმ მიღწეულ წარმატებებს, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ ბოლო წლების მანძილზე მიაღწია.

ერთი-ერთი ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა, არის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა; კომერციული დავების გადაჭრასთან, გადახდისუუნარობასთან და ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემატური საკითხი. იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო ხასიათის ფინანსური პრობლემები პირდაპირ უკავშირდება მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მოწესრიგებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ინფრასტრუქტურას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაო ძალის კვალიფიციურობას და სხვ.(ლ.ხურცია). ინვესტიციური ნაკადები შედარებით ნაკლებად არის მიმართული ისეთი სექტორების ხელშესაწყობად, როგორებიცაა საფეიქრო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა, რაშიც საქართველოს საგრძნობი უპირატესობა აქვს. ისინი ნაკლებად არის გამიზნული სამუშაო ადგილების შექმნისა და პროდუქტიულობის ამაღლებისკენ, თუმცა ხანგრძლივ დროში აღმავლობასა და ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს პრობლემა, რომელიც აბრკოლებს საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას - ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის პრობლემა. საქართველოს სოციალური განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი იქნება, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან; მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ა.შ. თუმცა, ხშირად ადგილი აქვს დაპირისპირებებს ინვესტორებსა და მოსახლეობას შორის, რამაც შესაძლოა ინვესტორთა უკმაყოფილება და ცალკეულ შემთხვევებში, ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნაც კი გამოიწვიოს.

ზემოთ აღწერილი დეტალებისა და ქვეყანაში მიმდინარე მდგომარეობის საფუძველზე, წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის, რომელიც პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელ ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება, მიზანია გამოკვეთოს მათი მნიშვნელობა საქართველოსათვის, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება და განვითარების ევროპული გზა აქვს არჩეული; წარმოაჩინოს ინვესტიციათა მოზიდვის ხელისშემშლელი ძირეული ფაქტორები და მათი აღმოფხვრის გზები; მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციებისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მონაცემების გათვალისწინებით, საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ინსტრუმენტებისა და სტრატეგიის გამოკვეთა, მისი შეთანაწყობა საქართველოს ეკონომიკასთან და ქვეყანაში არსებულ თავისებურებებთან.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმები და საფუძვლები

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგადი არსი

ტერმინი ,,ინვესტიცია'' წარმოსდგება ლათინური სიტყვისგან ,,Investire''(შემოსვლა) და ნიშნავს კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ფეოდალიზმის ეპოქაში ,,ინვესტიტურას'' ვასალის გადაქცევას უწოდებდნენ ფეოდალის მფლობელად. იმავე ტერმინით აღინიშნებოდა ეპისკოპოსების დანიშვნაც, რომლებიც, მოსახლეობასთან ერთად, მმართველობისთვის საეკლესიო მიწებს და მათი გადასახადების უფლებას იღებდნენ. დროის გასვლასთან ერთად, აღნიშნულმა სიტყვამ ახალი მნიშვნელობები შეიძინა და მისი გამოყენება საქმიანობათა სხვადასხვა სფეროში დაიწყეს. დღეისათვის, მისი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა არის კაპიტალის ხანგრძლივი დაბანდება რაიმე საქმეში. ეკონომიკურ თეორიებში ინვესტირება არის საქმიანობა, სადაც მწარმოებელი ფიზიკურ აქტივებს, ან წარმოებისთვის საჭირო

ტექნიკურ აღჭურვილობას ყიდულობს, რომელიც ბიზნესს გრძელვადიან პერიოდში დაეხმარება, გახდეს მეტად რენტაბელური.[7]

ზემოთ აღნიშნულის გარდა, არსებობს ინვესტიციის მრავალი განმარტება. კერძოდ კი, უილიამ შარპისა და მისი თანაავტორების აზრით, ინვესტიცია წარმოადგენს ფულთან განშორებას დღეს, რათა ხვალ უფრო მეტი მივიღოთ. რუსი მეცნიერის, ა.სელიშევის განმარტებით კი, ინვესტიციები არის დანაზოგების გამოყენება ძველის აღსადგენად და ახალი საწარმოო სიმძლავრეებისა თუ სხვა კაპიტალური აქტივების შექმნის მიზნით[8]. ინვესტიციების შესახებ ძირითადი, რაც უნდა ვიცოდეთ, ის არის, რომ ისინი ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, ასევე მონაწილეობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოების მოცულობის ზრდის საქმეში. სახელმწიფო კრიზისის დროს, ინვესტიციები დიდ როლს ასრულებს საწარმოო და სოციალური პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების საქმეში. ნებისმიერი სახის ინვესტირების მთავარი პირია ინვესტორი, რომელიც შიძლება იყოს ინდივიდუალური პიროვნება, ან კომპანია, რომელიც გადაწყვეტილებას ღებულობს იმის თაობაზე, თუ ბიზნესის რომელ სფეროში და რა სახის ინვესტირება განახორციელოს.

[7] *https://www.pmgiinsurance.com/investments*

[8] *Delta Capital Reliable Financial Partner." Delta-capital.ge.2018. http://delta-capital.ge/news/id=5*

1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახეები და ფორმები

ვინაიდან, ინვესტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ბიზნეს სტრატეგიებზე, ინვესტირების მრავალი სახე არსებობს. მისი ძირითადი სახეებია:

1. *პირდაპირი ინვესტიციები;*
2. *ფინანსური ინვესტიციები(ფასიან ქაღალდებში დაბანდებები, კრედიტები, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები და ა.შ.);*
3. *რეალური ინვესტიციები(უშუალოდ წარმოებაში დაბანდებები, რაც ძირითად კაპიტალსა და საბრუნავ საშუალებებში დაბანდებას გულისხმობს);*
4. *რეინვესტირება;*
5. *ვენჩურული ინვესტიციები(მცირე, ან ახალ საწარმოში ინვესტირება, რომელიც, ჩვეულებრივ, აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება.მსგავსი სახის კაპიტალს ახასიათებს დიდი რისკი);*
6. *მოკლევადიანი ინვესტიციები(კაპიტალის ერთ წლამდე ვადით დაბანდება);*
7. *სასუალოვადიანი ინვესტიციები(კაპიტალის ერთიდან სამ წლამდე ვადით დაბანდება;*
8. *და ბოლოს, გრძელვადიანი ინვესტიციები(კაპიტალის დაბანდება სამ წელზე მეტი ხნის ვადით).*

ინვესტიციების დაყოფა ***ფორმების მიხედვითაც*** არის შესაძლებელი:

1. *მატერიალური ინვესტიციები(უძრავი ქონება, ტექნიკა-აღჭურვილობა, მიწა და სხვ.);*
2. *ფინანსური ინვესტიციები(ფასიანი ქაღალდები);*
3. *არამატერიალური ინვესტიციები(ლიცენზიები, საავტორო უფლებები და ა.შ.).*

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების გარდა, ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე გვხვდება ინვესტიციათა სხვა სახის განმარტებებიც. სამოქალაქო განათლების ლექსიკონში აღნიშნულია რომ აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ნებისმიერი სახის

ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის, ან უფლების გრძელვადიან დაბანდებას საკუთარ, ან უცხო ქვეყანაში, სამეწარმეო და სხვა ობიექტებში, რომელიც შესაძლო მოგების, ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენება[9]. თუ უცხოურ ინვესტიციებს ***სახსრების დაბანდების მიხედვით*** დავყოფთ, მივიღებთ ***უცხოურ პირდაპირ*** *და* ***პორტფელურ*** *ინვესტიციებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები*(პუი), ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კაპიტალის ისეთ დაბანდებას წარმოადგენს, რომლის დროსაც უცხოელი ინვესტორი რეზიდენტი ქვეყნის კომპანიაში კონტროლის უფლებას იძენს. მსგავსი ტიპის ინვესტიციები დიდი მოცულობით თანხებს მოიცავს და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე. *პორტფელურ* ინვესტიციებს რაც შეეხება, იგი წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შეძენას და ამ დროს ინვესტორს კაპიტალის ჩადების ობიექტზე კონტროლის უფლება არ აქვს. აღნიშნული ტიპის ინვესტიციები მოკლევადიანი ინვესტიციების კატეგორიას წარმოადგენს და კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან ასოცირდება. თანამედროვე ეპოქაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც უცხო კომპანიების, საწარმოებისა და სახელმწიფოების მიერ ხორციელდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა მიმღები ქვეყნის საწარმოებში. თანამედროვე ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. განვითარებული ქვეყნების უმეტესობა საკუთარ სახსრებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებში აბანდებს, რომელთაც გარკვეული შემოსავლები გააჩნიათ და მასპინძელი ქვეყნის ინდუსტრიას ავითარებენ. ამ დროს მასპინძელ ქვეყანას უჩნდება შესაძლებლობა, განავითაროს და განაახლოს ცალკეული ინდუსტრიული დარგები , აწარმოოს კონკურენტული პროდუქტი და მომსახურება და გაზარდოს მწარმოებლურობა.

პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებს შორის განსხვავება ვლინდება ინვესტორის მიერ დაბანდებული კაპიტალის კონტროლის ხარისხში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიხილება როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. მაკრო დონეზე ისინი წარმოადგენს კაპიტალის ნაკადებს, რომელიც მიმღებ ქვეყანაში

[9] *მესხი,ირაკლი.,,უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში.'*ბათუმი,2017

აქციონერულ კაპიტალს ქმნის; ამ დროს მასზე კონტროლი ხორციელდება მასპინძელი ქვეყნის კორპორაციების მხრიდან. მიკრო დონეზე კი ძირითადი ყურადღება ექცევა ინვესტორთა მოტივაციას და მათ მიერ დაბანდებული ინვესტიციებით შექმნილი ფილიალების საქმიანობის შედეგებს მასპინძელი ქვეყნებისთვის. აღნიშნული შედეგები საბოლოოდ დასაქმებაში, ვაჭრობაში, წარმოებაში და სხვა პუნქტებში აისახება.

1.2.1. თეორიები ინვესტიციების წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებით

ინვესტიციების თეორიული წარმომავლობა ეკონომიკური აზრის თითქმის ყველა სკოლისა და მიმდინარეობის თეორიულ პოსტულატებს უკავშირდება. ინვესტიციათა თეორიის ძირითადი პრინციპების დღევანდელი გაგება უკავშირდება **მერკანტილისტების** სკოლის წარმომადგენლებს, რომელთა შორის ყველაზე შესამჩნევ როლს ჟ.ლოს, თ.მენის, ლ.ზეკენდორფის, დ.იუმის, ი.ბეჰერისა და ჟ.კოლბერის თეორიული მიდგომები თამაშობდნენ. მერკანტილისტებმა დაასაბუთეს პირველებმა, იმ პირობების სახელმწიფოებრივად რეგულირების აუცილებლობა, რომლებიც საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებას და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფენ. ფული მათთვის წარმოადგენდა საინვესტიციო რესურსების განსაკუთრებულ წყაროს,რომელიც სავაჭრო და საწარმოო საქმიანობის მოცულობის ზრდას უზრუნველყოფდა; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ფულის დიდი მოცულობით შემოდინების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს აქტიურად უნდა გაეტარებინა პროტექციონისტური პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში და სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოსათვის მიეღწია. მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ ფულის დაგროვების ზრდა, მისი ღირებულების იმავდროულად შემცირების პირობებში, მეწარმეთა საინვესტიციო საქმიანობის წამახალისებელი მთავარი ფაქტორი იყო და ეკონომიკის ყველაზე სტრუქტურაწარმომქმნელ დარგებში განაპირობებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირებას.

მერკანტილისტების გარდა, ინვესტიციათა თეორიის განვითარებაში საკუთარი წვლილი მიუძღვით **ფიზიოკრატთა** ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს. მათ

საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები გააჩნდათ ამ საკითხთან დაკავსირებით. ფრანსუა კენე, გ.რივიერა, ჟ.ტიურგო და სხვები, ძირითად აქცენტს არა ვაჭრობაზე, რომლისკენაც ასე მიილტვოდნენ მერკანტილისტები, არამედ უკვე მიწათმოქმედებაზე აკეთებენ. სახელმწიფოსა და ცალკეული მეწარმეების პრიორიტეტულ საინვესტიციო პოლიტიკად მათ ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში სახსრების დაბანდება მიაჩნდათ. ინვესტირებული კაპიტალის ძირითად და საბრუნავ კაპიტალად დაყოფას სწორედ ფიზიოკრატებმა დაუდეს სათავე. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ერთიანი გადასახადი უნდა დაეწესებინა მიწის გამოყენებაზე, რათა სასოფლო-სამეურნეო სექტორს ეფექტიანად შესძლებოდა განვითარება. საბოლოოდ, ისინი სახელმწიფოს იძულებულს ხდიდნენ, უარი ეთქვა პროტექციონისტური სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს **კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის** წარმომადგენელთა დამსახურება ინვესტიციათა თეორიულ საწყისებში. აღნიშნული სკოლის წარმომადგენლებმა: ადამ სმითმა, დევიდ რიკარდომ, ჯონ სტიუარტ მილმა, ჟან ბაპტისტ სეიმ, თომას მალთუსმა, ინვესტიციების არსის კვლევა გააღრმავეს და პირველები იყვნენ, ვინც საზოგადოების საინვესტიციო მოდელის პარამეტრები ჩამოაყალიბა. მათ ინვესტიციების განხილვის არეალი გააფართოვეს ჯერ სამრეწველო წარმოების, შემდეგ კი არასაწარმოო სფეროებით. აღნიშნული სკოლის წარმომადგენლებმა ერთმანეთისგან გამიჯნეს კაპიტალისა და ფულის ცნებები, განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში და გამოკვეთეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში. ეკონომიკის კლასიკოსები ფიქრობდნენ, რომ კაპიტალის ბაზარზე რეალური სარგებელი დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის წონასწორობის დამყარებას უწყობს ხელს. კეინზიანური თეორიის თანახმად, აღნიშნული პროცესი გაცილებით კომლექსური მაშინ არის, როდესაც დანაზოგები შემოსავალზეა დამოკიდებული და ინვესტიციები მიმართულია პროცენტზე, რომელზეც გავლენას ახდენენ რეალური ეკონომიკური და მონეტარული განვითარების პროცესები.

ინვესტიციების შესახებ თეორიის ჩამოყალიბებაში და მის შემდგომ განვითარებაში დიდი როლის მუძღვის **მარჟინალისტების** ნაშრომებსა და მოსაზრებებს. აღნიშნულ

საკითხში მნიშვნელოვანი პროგრესი ისეთი მეცნიერების სახელებს უკავშირდება, როგორებიც იყვნენ: ვალრასი, ჯევონსი, ბემ ბავერკი, მენგერი, ვიზერი, კლარკი და სხვ. თავიანთ კვლევებში ისინი ყურადღებას ამახვილებენ მიკროეკონომიკურ ინვესტიციურ ანალიზზე. ზღვრული ანალიზის მეთოდის გამოყენებით, მათ გამოავლინეს საინვესტიციო რესურსებისა და ინვესტიციური საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებაზე მოქმედი მნიშვნელოვან ფაქტორთა სისტემა. მარჟინალისტებმა რაოდენობრივად განსაზღვრეს წარმოების სხვა ფაქტორებთან ინვესტირებული კაპიტალის ურთიერთქმედების ფორმები და შემოიღეს ინვესტირებული კაპიტალის ზღვრული ნაყოფიერების ცნებები. მათ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საინვესტიციო რესურსებსა და ინვესტიციურ საქონელზე ფასწარმოქმნის პრობლემის კვლევას, კაპიტალის დაგროვებისა და მისი ინვესტირების პროცესზე ფასების გავლენის შესწავლას. მათ ასევე პირველებმა დაამუშავეს ინვესტორის მიმდინარე და მომავალი დოვლათის ღირებულების შეფასების მექანიზმი და ამისთვის ინვესტიციური მოგების ნორმის ცნება გამოიყენეს.

ეკონომიკური სკოლის **ნეოკლასიკური მიმართულების** წარმომადგენლებმა კლასიკური და მარჟინალისტური ინვესტიციური თეორიების ისნთეზი განახორციელეს. მათმა მიდგომებმა ხელი შეუწყო ინვესტიციური თეორიის ცალკეული დებულებების განვითარებას, ინვესტიციათა ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის სფეროში, ინვესტიციური საქონლის მოთოვნისა და მიწოდების საფუძველზე, საბოლოო ფასების ჩამოყალიბების საკითხში. ისევე როგორც მარჟინალისტებმა, ვერც ნეოკლასიკოსებმა შეძლეს ძირეულად შეეცვალათ მაკროეკონომიკური ინვესტიციური თეორია და ძირითადად მიკროეკონომიკური ანალიზით შემოიფარგლნენ.

ინვესტიციების თეორიაზე საკუთარი გავლენა იქონია ეკონომიკური აზრის **მონეტარისტული მიმართულების** მეცნიერულმა დებულებებმაც. აღნიშნული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ მილტონ ფრიდმენი. საინვესტიციო პროცესებს და მისი რეგულირების მექანიზმებს მონეტარისტები განიხილავდნენ მხოლოდ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და ქვეყანაში ფულის მიმოქცევის ჭრილში. ფულის ის რაოდენობა, რომელიც ქვეყანაში მიმოქცევაშია, დიდ გავლენას ახდენს ინვესტიციური საქონლისა და საინვესტიციო რესურსების ფასზე

და ცალკეული მეურნე სუბიექტების საინვესტიციო აქტივობაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ ქვეყანაში საინვესტიციო პროექტების სახელმწიფოებრივ რეგულირებათა მთელი სისტემა თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ფულის მიმოქცევის პარამეტრების: ფულის მასის მოცულობის, მისი მიმოქცევის სიჩქარის, საკრედიტო და ფულის ემისიის, ინფლაციის ტემპების და ა.შ. რეგულირებაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი(IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია(OECD) განმარტავენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გამოხატავს ერთი ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს მიერ მეორე ქვეყნის საწარმოში გრძელვადიანი ინტერესების შეძენას. აღნიშნული გულისხმობს გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას მოცემულ საწარმოებს შორის; ამ დროს ინვესტორი საწესდებო კაპიტალის 10%-ს იძენს და უფლებას იღებს, გავლენა იქონიოს კაპიტალის ჩადების ობიექტზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ განმარტებას ყველა ქვეყანა არ ეთანხმება - ჩინეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმარტება უცხოელების მიერ დაფინანსებულ კომპანიათა შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას ეფუძნება, სადაც არარეზიდენტი საწარმოები რეზიდენტი ფირმის საწესდებო კაპიტალის 25%-ზე მეტ მოცულობას ფლობენ; მალაიზიაში პირდაპირ ინვესტორად ითვლება არარეზიდენტი საწარმო, რომელიც მიმღები ქვეყნის კომპანიის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობს საკუთრებაში. ამერიკაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად აღიარებულია ყველანაირი სახის დაბანდება, სადაც ინვესტორი განაგებს, ან ღებულობს კომპანიის საკუთრების 10%-ს[10]. ზემოთ წარმოდგენილი განმარტებები ნათელჰყოფს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა და თანამედროვე ეპოქაში იგი გვევლინება ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანა მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციას უკეთებს, მსგავსი ინვესტიციების

10

ჯანჯღავა, ქრისტინა. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე(საქართველოს მაგალითზე).“ 2012. 12.

განხორციელების საფუძველია მსხვილ კომპანიათა ბიზნესსაქმიანობების სხვადასხვა ქვეყანაში ექსპანსია, გაფართოება და ამის შედეგად მოგების ზრდა.

1.2.2. თანამედროვე საინვესტიციო გარემოს შექმნის წინაპირობები და ინვესტიციათა მნიშვნელობა XX საუკუნის მე-2 ნახევარში

მეოცე საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დიდად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზებამ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო წარმოების გაზრდა განაპირობა. 80-იანი წლებიდან ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებულმა დიდი მოცულობის ინვესტიციურმა ნაკადებმა ტექნოლოგიურ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა, სხვადასხვა ქვეყანაში ხელი შეუწყო ბაზრების პრივატიზებას და გამოიწვია ვაჭრობისა და ინვესტიციათა რეჟიმის ლიბერალიზაცია. გლობალიზაცია ამ მხრივ ქმნის შესაძლებლობებს, განვითარებადმა ქვეყნებმა დიდ წარმატებებსა და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიონ ინვესტიციებისა და ვაჭრობის საშუალებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დახმარებით, უცხოელი ინვესტორები იყენებენ აქტივებს და რესურსებს, ინვესტიციათა მიმღები ქვეყნები კი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას იძენენ, ასევე ერთვებიან საერთაშორისო წარმოებაში და სავაჭრო ქსელებში. მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე ეკონომიკაში გავრცელებული იყო განსხვავებული მიდგომა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ და ინვესტიციათა მიმღებ ქვეყნებთან მიმართებაში ისეთ უარყოფით დეტალებზე იყო აქცენტი გაკეთებული, როგორებიცაა:

- *მასპინძელ ქვეყნებში კაპიტალის სიჭარბით გამოწვეული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ზრდა განაპირობებს სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და ქვეყანაში პროდუქციის ექსპორტიორთა რაოდენობას ამცირებს;*

- *ადგილობრივი საწარმოების გაფართოება ზრდის კაპიტალზე მოთხოვნას და ამცირებს შრომაზე მოთხოვნის რაოდენობას, რაც ქვეყანაში უმუშევრობის ზრდას იწვევს;*

- *უცხოური ინვესტიციების მიერ სამამულო ინვესტიციათა გამოდევნა ქვეყნიდან, ხოლო ადგილობრივი ფირმების- უცხოური, მეტად კონკურენტუნარიანი ტნკ-ების მიერ. აღნიშნულ პროცესს შეიძლება ორი ურთიერთგამომრიცხავი შედეგი ახლდეს თან- პირველი, შეიძლება აღნიშნულმა პროცესმა შესაძლოა ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდა გამოიწვიოს, მეორეს მხრივ კი, ადგილობრივი საწარმოები კონკურენციას ვერ უწევენ უცხოურ ტნკ-თა ფილიალებს, ვინაიდან ჯერ კიდევ სირთულეების წინაშე იმყოფებიან;*

- *ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით იზრდება ფულის მასა, რამაც შეიძლება ინფლაციური პროცესები გამოიწვიოს და საპროცენტო განაკვეთები გაზარდოს;*

- *უცხოურ კომპანიებთან შედარებით ეროვნული ფირმების ჩამორჩენას დუოპოლიური ეკონომიკის არსებობა განაპირობებს; ერთ მხარეს ოპერირებს ძლიერი საზღვარგარეთული ფირმები, მეორე მხარეს კი სუსტად განვითარებული და ნაკლებკონკურენტუნარიანი კომპანიები;*

- *ტრანსნაციონალური კორპორაციები ტრანსფერტული ფასებით თავს არიდებენ გადასახადების გადახდას, ეროვნული კომპანიები კი ამას ვერ ახერხებენ. ამის გამო ისინი შედარებით არაკონკურენტუნარიანები ჩანან;*

- *უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების გაზრდამ შესაძლოა ქვეყანაში დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები გამოიწვიოს. საქმე იმაშია, რომ ინვესტიციების ზრდა თანდათან იწვევს იმას, რომ უცხოელი ინვესტორები იღებენ როგორც ეკონომიკურ, ისე მთელ რიგ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც იღებენ, რაც ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს არ შეესაბამება;*

- *უცხოურმა კომპანიებმა შესაძლოა დომინირებული მდგომარეობა მოიპოვონ, რითიც დააბრკოლებენ შიდა ბაზარზე კონკურენციას. ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ფირმები მიმღები ქვეყნების ბაზრებზე მონოპოლიურ მდგომარეობას აძლიერებენ და რესურსების ექსპლუატაციას უფრო იაფად ახორციელებენ;*

- მიმღებ ქვეყნებში უცხოელი ინვესტორების ფატალური ზეგავლენის შედეგად წარმოიშობა უარყოფითი გარე ეფექტი, ვინაიდან ადგილი აქვს რეპატრირებულ მოგებას. ანუ, როდესაც კომპანია მიღებული მოგების ბაზირების ქვეყანაში რეპატრირებას ახორციელებს, მიმღები ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსი ეცემა.

მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა და სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და უცხოელთა საკუთრება წარმოების საშუალებებზე განიხილებოდა, როგორც ნეოკოლონიალიზმის ახალი ფორმა და კოლონიალიზმის გაგრძელება. განხორციელდა უცხოელთა საკუთრებაში არსებული დარგების ნაციონალიზაცია, რაც საწარმოებისა და ფაბრიკა-ქარხნების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლას გულისხმობდა. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადს და ქვეყანაში ტნკ-ების არსებობა ეროვნული სუვერენიტეტის შესუსტებად ითვლებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები საფრთხედ აღიქმებოდა მიმღების ქვეყნებისთვის და ეს იწვევდა დიდი კომპანიების მიერ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმეებში ჩარევის შიშს. ეს შიში კოლონიური გამოცდილებით იყო გამოწვეული და მოსაზრებით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცები ექსპლუატაციისა და კოლონიალიზმის თანამედროვე ფორმას წარმოადგენდა. საუკუნის ბოლოს, 90-იან წლებში, აღნიშნული ტიპის ინვესტიციები უკვე იქცა შედარებით სტაბილურ ინვესტიციათა ნაკადებად, კაპიტალდაბანდების სხვა ფორმებთან შედარებით. სწორედ ამიტომ, განვითარებადმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს შიდა საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, რათა უცხოურ კაპიტალზე შეზღუდვები შეემცირებინათ და მაქსიმალურად გაეზარდათ მოგება ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების არსებობის ხარჯზე. XX საუკუნის 90-იან წლებში აღნიშნული სახის ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყარო იაპონია გახდა როდესაც მისმა ინვესტიციებმა აზიის განვითარებად ქვეყნებში შეაღწია. 2000 წელს ინვესტიციურმა ნაკადებმა მიაღწია 1.3 ტრლნ. დოლარს და ეს იყო მისი მაქსიმალური მოცულობა იმ

დროისათვის; [11]განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო საფონდო ბაზრების კარგი მაჩვენებლით და მამაღლი სასაქონლო ფასებით.

კარგი იქნება დავაკონკრეტოთ, თუ რა შედის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემადგენლობაში, საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით:

- *მოგების რეინვესტირება: პირდაპირი ინვესტორის წილი საწარმოს მოგებაში; იგი არ ნაწილდება დივიდენდების სახით და პირდაპირი ინვესტორის ანგარიშზე არ გადაირიცხება;*
- *კომპანიების მიერ უცხოეთში საკუთარი კაპიტალის დაბანდება; ფილიალების კაპიტალი და შვილობილი, ან ასოცირებული კომპანიების აქციებში არსებული წილი;*
- *კაპიტალის შიდაკორპორაციული გადარიცხვები; იგი ერთის მხრივ ხორციელდება პირდაპირ ინვესტორსა და მეორეს მხრივ, ასოცირებულ, ან შვილობილ კომპანიებს შორის; ასევე, შესაძლებელია ხდებოდეს ფილიალებს შორისაც.*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები საწარმო შეიძლება იყოს ასოცირებული, ან შვილობილი კომპანია, ან თუნდაც ფილიალი. აღნიშნული კომპანიები მჭიდროდ უკავშირდებან ერთმანეთს და რთული სამართლებრივი სტრუქტურით ხასიათდებიან. თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია ასოცირებულ და შვილობილ კომპანიებს ასე განმარტავს:

შვილობილი კომპანიები: კომპანია ,,I'' კომპანია ,,II''-ის შვილობილ კომპანიად განიხილება, თუ ,,II'' კომპანია აქციების ნახევარზე მეტ წილს ფლობს აქვს უფლება, დანიშნოს ან მოხსნას ადმინისტრაციული პერსონალი; ამასთან, მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა კენჭისყრაზე.

ასოცირებული კომპანიები: კომპანია ,,III'' ითვლება კომპანია ,,II''-ის ასოცირებულ ფირმად, თუ ,,II'' კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები 10%-50% აქციათა წილს ფლობენ ფირმა ,,III''-ში.

[11] *http://Unctad.org/en/Docs/iteiit20049a3_en.pdf*

ფილიალები: პირდაპირი ინვესტიციების ფილიალები მიმღებ ქვეყანაში შესაძლებელია იყოს:

- ერთობლივი საწარმო, უცხოელ ინვესტორსა და მესამე პირს შორის;
- ობიექტები, მიწები, უცხოელთა პირდაპირ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება და ნივთები;
- უცხოელი ინვესტორის მუდმივი წარმომადგენელი;
- მობილური აღჭურვილობა: გემები, თვითმფრინავები, გაზისა და ნავთობის საბურღები, რომელიც მიმღებ ქვეყანაში მოქმედებასია მინიმუმ 1 წლის მანძილზე და აღიარებულია მასპინძელი ქვეყნის საგადასახადო ორგანოს მიერ;

აქვე აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივი ინვესტიციებისგან განსხვავებით, უპირატესი ყურადღება საერთაშორისო ინვესტიციურ ნაკადებს ეთმობა, მათ მოზიდვას და შესაბამის მასტიმულირებელ ეკონომიკურ პოლიტიკას. უამრავი ქვეყნის მთავრობას შემუშავებული აქვს თავიანთ ქვეყნებში უცხოელ ინვესტორთა შემოსვლის პირობები. ისინი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- კომპანიის ვალდებულებები მიმღებ ქვეყანაში კვლევებისა და საცდელი სამუშაოების ჩატარებაზე;
- ვალდებულებები ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით;
- მიმღებ ქვეყანაში შექმნილი ფირმების კაპიტალში უცხოური კომპანიების მინიმალური და მაქსიმალური ხვედრითი წილების დაწესება;
- მოთხოვნები ეროვნულ ბაზარზე გაყიდვათა მთლიან მოცულობაში უცხოური კომპანიების ექსპორტის მაქსიმალური ხვედრითი წილის მიმართ;
- მოთხოვნები ტექნოლოგიების გადაცემაზე[12].

აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, არამხოლოდ უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებულ დადებით ასპექტებს, არამედ შესაძლო უარყოფით შედეგებსაც. ერთ-ერთი მათგანია მნიშვნელოვანი საკითხი, სახელწოდებით ,,განდევნის ეფექტი''. აღნიშნული პრობლემა წარმოდგენილია ორი ფორმით: 1.უცხოურ

[12] *მესხი,ირაკლი. ,,უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში.''* ბათუმი,2017.

კომპანიებს შეუძლიათ ადგილობრივი კომპანიები შეზღუდონ და ბაზრიდან განდევნონ, თუ ეს უკანასკნელები შედარებით ნაკლებკონკურენტუნარიანები არიან, შემოსულ კომპანიებთან შედარებით; 2. შემოსული უცხოური ფირმები თვითონ ისაკუთრებენ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების დიდ ნაწილს და ამიტომ, უმთავრესი ამოსავალი წერტილი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ინტერესების დაცვა ხდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოიყოფა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოთხი ინსტიტუციური სექტორი. ესენია:

1. ბანკები;
2. გენერალური მთავრობა;
3. სავალუტო-საფინანსო დაწესებულებები;
4. სხვა რეზიდენტი სექტორი.

ქვეყნების ნაწილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემების გამოქვეყნებისას, სწორედ ამ სექტორული დაყოფით ხელმძღვანელობს. ხოლო, რაც შეეხება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას, იგი იყენებს ეკონომიკური და სამრეწველო დარგების მიხედვით დაყოფას- სულ 9 დარგი:

1. წარმოება;
2. სამთო და სამტეხლო მანქანები;
3. მშენებლობა;
4. სოფლის მეურნეობა, ნადირობა, თევზჭერა, მეტყეევეობა;
5. ელ.ენერგია, აირი და წყალი;
6. ტრანსპორტი, შენახვა, კომუნიკაციები;
7. საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი მომსახურება;
8. საცალო და საბითუმო ვაჭრობა, რესტორნები და სასტუმროები;
9. დაფინანსება, უძრავი ქონება და ბიზნეს მომსახურება[13].

დღეისათვის მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რამდენადაც იგი განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას და

[13] *Definitions of Foreign Direct Investment(FDI): a methodological note,2003*

პროგრესს. მათ ლომის წვლილი მიუძღვით გლობალური ბიზნესის განვითარებაში და ადგილობრივ კომპანიებს უზრუნველყოფენ მარკეტინგული არხებითა და ახალი ბაზრებით; ხელმისაწვდომობას აძლევენ ახალ ტექნოლოგიებზე, ფინანსებზე, წარმოებაზე. თუ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს **მიმართულების** მიხედვით დავყოფთ, ისინი დაიყოფა **შემავალ** და **გამავალ** ნაკადებად. შემავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს უცხოური კაპიტალის ადგილობრივ რესურსებში დაბანდებას. მსგავსი ტიპის ნაკადებს საგადასახდელო შეღავათები, სუბსიდიები, გრანტები და დაბალი საპროცენტო სესხები ასტიმულირებს. გამავალი ინვესტიციების შემთხვევაში, ადგილობრივი კაპიტალი ბანდდება უცხოურ რესურსებში. აღნიშნული ტიპის ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორი სახელმწიფო დაზღვევაა, რისკების არსებობის შემთხვევაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ადგილობრივი ბიზნესის სუბსიდირება არასასურველ და შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება, ვინაიდან ამ დროს ინვესტორი უმჯობესად მიიჩნევს, კაპიტალი ადგილობრივ ბაზარზე დააბანდოს, რაც გამავალი ინვესტიციების მოცულობას ამცირებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება არა როგორც ქვეყანაში ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან, არამედ მას მიიჩნევენ, როგორც ინსტრუმენტს, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს სხვადასვა არაფინანსური ქონება, მათ შორის: განათლება, პროდუქციის ახალი დიზაინი, მართვის ახლებური პრაქტიკა, ბრენდი, ხარისხის მახასიათებლები და ა.შ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით არამხოლოდ ადგილობრივი წარმოება სარგებლობს, არამედ მომხმარებლებიც; ის უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომობას და ზრდის სამუშაო ადგილებს, ასევე აფართოებს საექსპორტო ბაზრებს და ეხმარება სხვადასხვა დარგებს, გახდნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო დონეზე. ჩამოთვლილი დადებითი ასპექტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, ხელს უწყობს მათ ეკონომიკურ განვითარებას. გარკვეული დეტალების გათვალისწინებით, ინვესტორისათვის უფრო ხელსაყრელია, წარმოება საზღვარგარეთ განალაგოს, იაფი წარმოებისა და შრომითი

რესურსების გამო და იქიდან განახორციელოს პროდუქციის ექსპორტი საგარეო ბაზრებზე. უცხოური ინვესტიციებისთვის რეციპიენტი ქვეყნის მიმზიდველობა ბუნებრივი რესურსების სიუხვით, ასევე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორებით განისაზღვრება. ესენია: ბაზრის ზომა, მისი ზრდის პერსპექტივები, სტრუქტურა, კულტურული, პოლიტიკური, სამართლებრივი გარემო და შიდა პოლიტიკა.

განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიკაციის კიდევ ერთი ფორმა, რომელიც ინვესტიციებს ყოფს **ინვესტირების მოტივაციის** მიხედვით. ამ კონტექსტში, ინვესტირებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი მოტივი და ესენია: უცხოურ ბაზრებზე, ეფექტიანობაზე და ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული მოტივი[14]. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზანია თავი აარიდოს საიმპორტო ბარიერებს, მაღალ სატრანსპორტო დანახარჯებს და დისკრიმინაციულ სამთავრობო პოლიტიკას. ამ ტიპის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ძირითადად რეციპიენტი ქვეყნის ზრდის პერსპექტივა და ქვეყნის მასშტაბი იზიდავს. უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დადებითი გავლენა აქვს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემით გამოიხატება(განსაკუთრებით მომსახურების სფეროში). აღნიშნული გადაცემა შესაძლოა, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით განხორციელდეს; პირდაპირ გადაცემაში იგულისხმება ტრანსფერტი ტრენინგების საშუალებით, ხოლო არაპირდაპირი გადაცემა გულისხმობს დემონსტრირებას - წარადგინო, მაგალითად, ფასებისადმი მიდგომის, ახალი საინფორმაციო პროცესების მართვის, მერჩენდაიზინგის და ა.შ. თანამედროვე მეთოდები განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე. ბაზარზე კონკურენციის ზრდა ადგილობრივ ბაზრებზე საცალოდ და საბითუმოდ მოვაჭრეებს მოტივაციას აძლევს, რომ ახალი მეთოდები დანერგონ და გააუმჯობესონ მწარმოებლურობა. ხარისხის, ფასებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება, ასევე სავაჭრო

14

ჯანჯღავა, ქრისტინა. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე(საქართველოს მაგალითზე).“ 2012. 12.

ბარიერების შემცირება ხელს უწყობს დადებითი შედეგების მიღებას განვითარებად ქვეყნებში. ფირმების ინტერნაციონალიზაცია ძირითადად იმ ქვეყნის ბიზნესგარემოზეა დამოკიდებული, სადაც კომპანიები ოპერირებენ. განვითარებადი ქვეყნებიდან კომპანიები მუდმივად სწავლობენ მათ შესაძლებლობებს უცხოურ ბაზრებზე იმისთვის, რომ მოგება გაზარდონ და საქმიანობა გაიფართოონ. ამის შედეგად მცირდება ის რისკი, რაც შეზღუდულ ბაზარზე საქმიანობას უკავშირდება.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხშირ შემთხვევაში ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომელთა ბაზრებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის ინტეგრირებული. მსგავსი ტიპის ინვესტიციები ოფშორინგით სარგებლობს. ამ ტიპის ინვესტირებას ძირითადად მიმღები ქვეყნის სამუშაო ძალა(სიიაფიდან გამომდინარე) და ბუნებრივი რესურსები იზიდავს. განვითარებულ ქვეყნებში ხელფასების ზრდამ ტრანსნაციონალური კორპორაციები იძულებული გახადა, საკუთარი წარმოება ისეთ ქვეყნებში გადაეტანათ, სადაც სამუშაო ძალა გაცილებით იაფია. ეფექტიანობაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უფრო რთულ ფორმას აუთსორსინგი წარმოადგენს. იგი ეფუძნება მაღალ მწარმოებლურობასა და ცოდნას. მსგავსი ტიპის ინვესტიციები უპირატესად ინდუსტრიულ ქვეყნებზეა კონცენტრირებული; იგი მიმღებ ქვეყანას წარუდგენს წარმოების ახალ ტექნოლოგიას და ზრდის მასპინძელი ქვეყნის უპირატესობასა და მენეჯერულ გამოცდილებას. ამ ტიპის ინვესტირება მიმღებ ქვეყანას საიმედოობისა და ხასირსხის კარგ რეპუტაციას უქმნის; იგი უზრუნველყოფს, რომ რეციპიენტ ქვეყანას კონკურენტუნარიანობა აუმაღლდეს, შუალედური პროდუქტის დანახარჯების შემცირების ხარჯზე, ამის შედეგად კი ხალისდება პროდუქციის ექსპორტი, დაზღვევა, ბიზნესი, ტელეკომუნიკაცია და სხვ.

ინვესტირების ბოლო სახე, რომელიც მოტივაციის კონტექსტში უნდა იქნას განხილული, არის **ბუნებრივ რესურსებზე ოირენტირებული** პირდაპირ უცხოური ინვესტიციები. იგი მათ ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენს.ჯ. დანინგი რესურსებზე ორიენტირებული ინვესტიციების 3 სახეს გამოყოფს. ესენია:

- რესურსებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;

- მენეჯმენტზე, ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებზე და მარკეტინგულ გამოცდილებაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
- იაფ და არაკვალიფიციურ, ან ნახევრად კვალიფიციურ მუშახელზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ჩამოთვლილთაგან, პირველი ტიპის ინვესტიციათა გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე არაერთგვაროვანია. როცა მსგავსი ტიპის ინვესტიციები სოფლის მეურნეობის დარგებზე, ან თევზჭერაზეა მიმართული, ამან შეიძლება ვაჭრობის ზრდა და მიმწოდებლებთან კავშირი გამოიწვიოს, ეს უკანასკნელი კი ტექნოლოგიების გადაცემას დიდად უწყობს ხელს. მრავალი კომპანია, განვითარებადი ქვეყნებიდან, ცდილობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოიძიოს ბუნებრივი რესურსები. ხელმისაწვდომობის გარდა ტნკ-ები ხელს უწყობენ ასევე ადგილობრივ საწარმოებს, რათა მათ მსოფლიო ბაზრებზე წარმოების ინტერნაციონალიზაცია განახორციელონ. შესაძლებელია, ჩამოთვლილი კლასიფიკაციებისა და ვარიაციების გარდა, ასევე გამოიყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა ფორმები. რამდენიმე მათგანს აქვე ჩამოვთვლით:

- ❖ ბრაუნფილდი;
- ❖ გრინფილდი;
- ❖ ჰორიზონტალური ინვესტიციები;
- ❖ ვერტიკალური ინვესტიციები;
- ❖ ,,შერწყმა-შთანთქმა'';
- ❖ ერთობლივი საწარმოები[15].

ბრაუნფილდ ინვესტიცია ითვალისწინებს ადრე აშენებული ქარხნის, ან ნებისმიერი ტიპის დაწესებულების შეძენას იმისათვის, რათა ის სხვა საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენონ. თუ წარმოვიდგენთ, რომ საკვები დანამატების

15

ჯანჯღავა, ქრისტინა. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე(საქართველოს მაგალითზე).“ 2012. 12.

მწარმოებელმა კომპანიამ შეიძინა ყოფილი შაქრის გადამამუშავებელი კომპანიის საწარმო, ეს სწორედ ბრაუნფილდ ტიპის ინვესტირების მაგალითი იქნება.

შემდეგი ფორმაა **გრინფილდ ინვესტირება**, რომელიც ინვესტიციების საზღვარგარეთ წარმართვას გულისხმობს, ან ახალი საწარმოების შესაქმნელად, ან უკვე არსებული ბიზნესის გასაფართოებლად. ამ ფორმის ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება მსხვილი ტნკ-ების მიერ - ისინი შედიან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრებზე და იქ ქარხნებისა და სხვა ისეთი დაწესებულებების აგებას იწყებენ, რომელიც შემდგომში მათი მოგების ზრდას განაპირობებს. ამის შედეგად, რეციპიენტ ქვეყანაში გრძელვადიანი სამუშაო ადგილები ჩნდება. აღნიშნული მიმღები ქვეყნები ინვესტორებს დაბალ საგადასახადო განაკვეთებს და სხვა სახის შეღავათებს სთავაზობენ, რაც მეტად აძლევს სტიმულს გრინფილდ ინვესტირებას. სამუშაო ადგილების გარდა, აღნიშნული ქვეყნები ამ დროს იღებენ განათლებას, ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს, ამის შედეგად კი იზრდება კვალიფიციური სამუშაო ძალის რაოდენობა. როგორც მედალს აქვს ორი მხარე, ისე გრინფილდ ინვესტიციებსაც გააჩნია საკუთარი უარყოფითი ასპექტები; ერთ-ერთი მათგანი არის უცხო ქვეყნიდან შესული ინვესტორის მიერ ადგილობრივი წარმოების გამოდევნა ბაზრიდან - ამას იწვევს მათ მიერ იაფად წარმოებული საქონელი და მომსახურება, რაც ხელს აძლევს მათ და ასუსტებს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობას. ამას გარდა, ინვესტორების მიერ რეციპიენტ ქვეყანაში წარმოებული დოვლათი და მოგება ინვესტორთა რეზიდენტ ქვეყანაში გაედინება, რაც ასევე უარყოფით ასპექტად არის მიჩნეული.

გრინფილდ ინვესტიციების განხილვის შემდგომ, საინტერესოა განვიხილოთ ისეთი ფორმის ინვესტირება, როგორიცაა **ჰორიზონტალური** ტიპის ინვესტიციები. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებული ინვესტიციური ნაკადები მთლიანად იმავე დარგში მიედინება, რომელშიც კომპანია საქმიანობს ბაზირების ქვეყანაში. ამ დროს ტნკ-ები ერთიდაიმავე სახის საოქნელს და მომსახურებას სხვადასხვა ქვეყანაში და რამდენიმე საწარმოში ერთდროულად აწარმოებენ და შემდგომ, თითოეული საწარმო უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზრებს მზა საქონლითა და მომსახურებით. ჰორიზონტალური ინვესტიციების მიზანია, თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო დანახარჯები და

მოხდეს საგარეო ბაზრებზე მარტივი წვდომა. ასეთი ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორი კუთხით შეიძლება დახასიათდეს - სარგებლიანობის მიღებისა და დანახარჯთა გამოთანაბრების თვალსაზრისით. ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში უცხოური საწარმოების აშენება ორი სახის წარმოების დანახარჯთან არის დაკავშირებული - ერთი არის მუდმივი, მეორე კი ცვალებადი წარმოების დანახარჯი; ისინი, თავის მხრივ, საქონლის ფასსა და ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. ერთის მხრივ, კომპანია საექსპორტო პროდუქციის წარმოებიდან ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაზე გადასვლით იღებს ეკონომიას, მეორე მხრივ კი, მასშტაბის ეკონომიის არსებობა განაპირობებს ფირმის დანახარჯების ზრდას. კომპანიის დამატებითი სარგებელი უკავშირდება ბაზრის სიახლოვეს - დავუშვათ, რომ პროდუქციის მიწოდებისას წარმოიშვა დანაკლისი; ამ დროს აღნიშნულ ბაზართან ყველაზე ახლოს მდებარე სხვა ბაზარი მარტივად აღმოფხვრის პრობლემას, მოცემული პროდუქციისა თუ მომსახურების მიწოდებით.

ერთ-ერთი საინტერესოა ისეთი ფორმის ინვესტირების განხილვა, როგორიცაა **ვერტიკალური** ფორმის ინვესტიცია. ამ ტიპის ინვესტირების შემთხვევაში ტნკ-ების მხრიდან ხორციელდება წარმოების პროცესის რამდენიმე ეტაპად დაყოფა და სამუშაო ფილიალების სხვადასხვა ქვეყენაში განლაგება. ამ ფორმის ინვესტიციების საფუძველია ქვეყნებს შორის განსხვავებები წარმოების ფაქტორთა მოცულობებში. წარმოების ფაქტორთა მიხედვით ქვეყნების განსხვავებებისა და შეფარდებითი უპირატესობის მოდელის ფუძემდებელი კი, თავის მხრივ, გახლავთ ცნობილი ეკონომისტი და მეცნიერი, პოლ კრუგმანი.დამტკიცებულია, რომ ვერტიკალური ინვესტირებისას ინვესტორები იღებენ წარმოებიდან ეკონომიას, რასაც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების განლაგება უზრუნველყოფს; იგი მაღალკვალიფიციური და დაბალკვალიფიციური დაქირავებული თანამშრომლების შრომას მიჯნავს ერთმანეთისგან. აღნიშნული შრომა ერთმანეთისგან განსხვავდება წარმოების ფაქტორთა ინტენსიურობით და შესაძლებელია, გეოგრაფიულადაც დაიყოს. ასეთი ინვესტირების ძირითადი აზრი გახლავთ ფასთა გამოთანაბრება წარმოების ფაქტორებზე - იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ფაქტორთა მოცულობებში განსხვავება არ არის დიდი, ვაჭრობას შეუძლია ფასები გამოათანაბროს ქვეყნებს შორის;

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას ეს არ ძალუძს. ასეთ დროს კომპანიებისთვის უფრო მომგებიანია საქმიანობა საზღვარგარეთ განახორციელოს. თვითონ ვერტიკალურ ინვესტირებაშიც გამოყოფენ ორ ფორმას: 1. *პროგრესული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები* - ტნკ-ები თავიანთ ფილიალებს სხვადასხვა ქვეყანაში განალაგებენ და წარმოების ფაქტორებს გადასცემენ ფუნქციონირებისათვის; 2.*რეგრესული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები* -საზღვარგარეთ არსებული საწარმოები ნედლეულსა და მასალებს აწარმოებენ და სათაო კომპანიას აწვდიან. ის კომპანიები, რომლებიც ძირითადად რეგრესულ ვერტიკალურ ინვესტირებას მიმართავენ, წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულისა და მასალების თვითღირებულებას, ან მათ შემადგენლობას აუმჯობესებენ.

,,შერწყმა-შთანთქმა" არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ორი, ან მეტი ფირმა საკუთარ აქტივებსა და ვალდებულებებს აერთიანებს და ერთ სუბიექტს წარმოშობს. გაერთიანების შემდგომ, ისინი აღარ არიან დამოუკიდებელი ერთეულები; ამ დროს ერთი კომპანიის აქციები მეორეს გადაეცემა. შერწყმა შეიძლება განხორციელდეს თანაბარი საბაზრო ძალაუფლებისა და ზომის მქონე კომპანიებს შორის და ასეთ გარიგებებს ძირითად მეგობრული ხასიათი აქვს. ,,შთანთქმა'' თავისი შინაარსით განსხვავდება შერწყმისაგან და გულისხმობს ერთი შედარებით დიდი სუბიექტის მიერ უფრო მცირე ზომის სუბიექტის მიერთებას და ასეთი გარიგება ხშირად მტრული ხასიათის მატარებელია. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, შერწყმა ითვალისწინებს იურიდიული პირის რეორგანიზაციას და შერწყმამდე არსებული უფლება-მოვალეობები ახლად შექმნილ სუბიექტზე გადადის. შერწყმის გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა იყოს ნახსენები, ერთი საწარმო მეორეს უერთდება, თუ უბრალოდ ორი საწარმო ერთ საწარმოდ ერთიანდება. თანამედროვე კომპანიები შთანთქმებს ძირითადად კონკურენტ ფირმებში დანერგილი ინოვაციების და ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე კონკურენტული უპირატესობების შესანარჩუნებლად იყენებენ. ,,შერწყმა-შთანთქმის'' ფორმა ინვესტიციების მასპინძელ ქვეყანას დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს. ინვესტიციათა მიმღები ქვეყნის აღნიშნული ფორმის ინვესტირებებს რიგი დადებითი ასპექტები გააჩნია და მათ შორისაა:

- ამგვარი გარიგებების დროს იზრდება მიმღები ქვეყნის წარმოების კონცენტრაცია, მცირდება ადგილობრივ ბაზარზე კონკურენცია და ის ფირმები, რომლებიც კონკურენციის შედეგად, შეიძლებოდა გაკოტრებულიყვნენ და გამქრალიყვნენ, უფრო მეტად დაცულები ხდებიან;
- ბაზარი გაზრდილ წილს იღებს;
- მასშტაბის ეკონომია, სინერგიული ეფექტი;
- მსგავსი ტიპის გარიგებები დიდ როლს ასრულებს ქვეყანაშიწარმოებისა და პრივატიზაციის რესტრუქტურიზაციის პროცესებში;
- გრძელვადიან პერსპექტივაში ,,შერწყმა-შთანთქმის'' გარიგებები განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას იმ შემთხვევაში, როდესაც სამიზნე კომპანია ძლიერდება და წარმოების მოცულობა იზრდება;
- როდესაც ადგილობრივ კომპანიას არ ძალუძს წარმოების მოცულობის გაზრდა, ,,შერწყმა-შთანთქმის'' გარიგება იწვევს გამოცდილებისა და ტექნოლოგიების ფირმებს შორის გადაცემას , რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სამიზნე კომპანიას, განავითაროს საკუთარი საქმიანობა და სხვ.

ინვესტირების ბოლო ფორმა, რომელიც საკმაოდ დიდ ყურადღებას იქცევს სპეციალისტების მხრიდან, არის **ერთობლივი საწარმოები,** რომლის დროსაც ბიზნესსაქმიანობას ორი, ან ორზე მეტი ფირმა იწყებს და ისინი თანხმდებიან მოგებისა და ზარალის განაწილებაზე. ასეთ კომპანიებში საკუთრება 50-50 ზე ნაწილდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანიას ორი მფლობელი ჰყავს და ისინი აქციათა ნახევარს ფლობენ. ერთობლივი საწარმოების დიდი უპირატესობაა პარტნიორისგან შეძენილი გამოცდილება და პოტენციური რისკის საფრთხის განაწილება; ასეთი ტიპის საწარმოებისთვის უარყოფით ასპექტად ის დეტალი შეიძლება დასახელდეს, რომ ლიცენზირების შემთხვევაში ტექნოლოგიებზე სრული კონტროლი იკარგება. ჩამოთვლილ ინვესტირებათა თითოეული ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეციპიენტი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში და ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას; ასევე, ხდება სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ხელშეწყობა, რაც საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდაში აისახება. საქართველოსათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინვესტირებათა ისეთი ფორმების

წახალისება მოხდეს, რომელიც ხელს შეუწყობს კეთილდღეობის ამაღლებას. ვფიქრობთ, ბრაუნფილდ ტიპის ინვესტიციები გაზრდიდა საქართველოს კეთილდღეობას, ვინაიდან ქვეყანაში საკმაო რაოდენობითაა გაჩერებული და მიტოვებული შენობები, რომლებიც ბიზნესსაქმიანობისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული. გრინფილდ ინვესტიციების განხორციელებაც ხელს შეუწყობს ახალი ბიზნესის განვითარებას, თუმცა საწარმოთა ნულიდან აშენება და საქმის თავიდან დაწყება რისკებს შეიცავს ისეთი ეკონომიკის ქვეყნისათვის, რომელიც ჯერ კიდევ უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. აღნიშნული ინვესტიციური გარიგებების რიცხვის ზრდა ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდას. ეს ყველაფერი კი რომ განხორციელდეს, საჭიროა სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელსაც შესაბამისად, ხელსაყრელი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ტიპის გარემო სჭირდება საიმისოდ, რომ ეფექტიანად იმუშაოს.

2.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზა

უკვე აღინიშნა, რომ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი მოზიდვა. აღნიშნული მსჯელობა ეხება როგორც მსოფლიოს ნებისმიერად აღებული ქვეყნის ეკონომიკას, ისე საქართველოს. საინვესტიციო პროცესებს ქვეყანაში აუცილებლად უნდა ასტიმულირებდეს და აკონტროლებდეს შესბაამისი კანონები და პროცედურები და ასევე, უნდა ხორციელდებოდეს შესრულების მკაცრი მონიტორინგი. საქართველოში ამ მხრივ, სხვადასხვა დროს, შემუშავებულია სხვადასხვა კანონი:

- საქართველოს რესპუბლიკამ 1991 წელს მიიღო ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ''კანონი;

- 1996 წელს გამოიცა საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ;
- შემდეგია კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ - მიღებულია 2002 წელს;
- 2006 წელი - საქართველოს კანონი ინვესტიციათა სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ;[16]

საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად შესაბამისი ღონისძიებების გატარება და კლიმატის ფორმირებაზე ზრუნვა. პირველი, რაც ამ მიმართულებით მაშინ გაკეთდა, იყო 1991 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული კანონი ,,უცხოური ინვესტიციების'' შესახებ, რომელიც უზენაესი საბჭოს დადგენილებით იქნა მიღებული. დადგენილებაში ნათქვამია: ,,ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ'' საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ამ კანონს ეწინააღმდეგება. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების სააგენტოს ჩამოყალიბება.[17]'' 1996 წელს გამოცემულ კანონს რაც შეეხება, სახელწოდებით ,,საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ'', აღნიშნულ კანონში ვკითხულობთ: ,,ინვესტიციებად მიიჩნევა ყველას ის ინტელექტუალური ან ქონებრივი უფლება, ან ფასეულობა,რომელიც შეიძლება დაბანდდეს და გამოყენებულ იქნას პოტენციური მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტეტრიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში; საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტიციები შესაძლოა განხორციელდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის ობიექტებში, რომლებშიც ინვესტირება ჩვეულებრივ, დაშვებულია; საინვესტიციო

16

სილაგაძე, ლევან. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში(1996-2016).“ თბილისი, 2018.

17

matsne.gov.ge. n.d. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/37594?publication=0.

საქმიანობის სუბიექტია ფიზიკური, ან იურიდიული პირი და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები,რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში. უცხოელ ინვესტორად შეიძლება ჩაითვალოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პიროვნება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობს; იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს საზღვრებს გარეთ არის რეგისტრირებული; საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს.'' [18]აღნიშნული კანონი იცავს ინვესტიციებს და მისი ჩამორთმევა დაშვებულია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობის წარმოშობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით და ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ინვესტიციის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება და კომპენსაციის პირობები საქართველოს საქალაქო სასამართლოში ექვემდებარება გასაჩივრებას, თუ მხარეთა შეთანხმებით, ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნული კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლის ფარგლებშიც ინვესტირება აკრძალულია. ეს სფეროებია:

- ადამიანების კლონირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანა;
- ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებაში, გავრცელებასა და გამოცდის პოლიგონების მშენებლობა;
- ნარკოტიკული საშუალებების წარმოება;

---

18 *economy.ge.* n.d. http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/sainvesticio_politika/1-LAW_OF_GEORGIA_ON_PROMOTION_AND_GUARANTEES_OF_INVESTMENT_ACTIVITY_geo.pdf .

- ნებისმიერი ის საქმიანობა, რომელიც პირდაპირ, ან ირიბად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებს და სხვ.

კანონის მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ ინვესტორს შეუძლია სამსახურში უცხოელი მიიღოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მას შემდეგ, რაც უცხოელი დასაქმებული გადასახადებსა და სავალდებულო მოსაკრებლებს გადაიხდის, მას უკვე შეუძლია საკუთარი მიღებული შემოსავლები ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანოს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი გვეუბნება, რომ საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოებში სავალდებულოდ ასარჩევ, ან დასანიშნ საქართველოს მოქალაქეთა აუცილებელი მინიმალური რაოდენობა დაწესებული არ არის. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ იმ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უცხოური ინვესტიციების ლიცენზია აიღეს, მისი გაცემიდან 5 წლის განმავლობაში ის შეღავათები შეუნარჩუნდათ, რომელიც 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონის შესაბამისად ეკუთვნოდათ ,,უცხოური ინვესტიციებ შესახებ'' ფარგლებში. შემდეგია 2002 წლის ივნისში გამოცემული კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ, რომ განისაზღვრა შემდეგი კატეგორიები:

- საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი საწარმოო-საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მექანიზმის შექმნა და მათი მართვის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოს საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრინციპები და მათი განხორციელებისთვის საჭირო კონკრეტული მექანიზმების შემუშავება;
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შექმნა, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე იქნება ანგარიშვალდებული და ყოველწლიურად წარუდგენს მას ანგარიშს;
- მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება: იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელსაც საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს, საწარმოო და

საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის უფლების მისაღებად; მოლაპარაკებების წარმოება პოტენციურ ინვესტორებთან, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო გრანტებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; საექსპერტო და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო სამსახურის გაწევა საწარმოო-საინვესტიციო პროექტის წარმდგენი ორგანიზაციისთვის და სხვ.

- აღნიშნული სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სს ,,საპარტნიორო ფონდის '' აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.

2006 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მიღებული კანონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების კუთხით. მისი მიზანი იყო სამართლებრივი ბაზის შექმნის საფუძველზე ინვესტირების ხელშეწყობა. აღნიშნული კანონი საქართველოში განხორციელებულ ნებისმიერ ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციაზე ვრცელდება. ინვესტიციათა მხარდაჭერა სახელმწიფოს სახელით საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, ამ უკანასკნელის საქმიანობას კი აკონტროლებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს უფლება აქვს წარმოადგინოს ინვესტორის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან და ასევე, სხვა პირებთან ურთიერთობისას, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე. მომსახურების საფასური სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით განისაზღვრება და მისი საფასურის გადახდისგან თავისუფლდება ისეთი მნიშვნელოვანი ინვესტირებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სტრატეგიული და ფუნქციონალური თვალსაზრისით. როდესაც ინვესტიციას განსაკუთრებულის სტატუსი ენიჭება, ინვესტორსა და საქართველოს მთავრობას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც ინვესტიციის პირობები განისაზღვრება. აღნიშნული

სტატუსი გარკვეული ვადით მოქმედებს და იგი უქმდება, თუ ინვესტორი ვერ შეასრულებს მოცემული კანონით გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს[19].

ყველა ქვეყანა ცდილობს უკეთესი პირობების შექმნას უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და მოგებათა რეინვესტირების ხელშესაწყობად. სწორედ ამ მიზნით, საქართველომ საგადასახადო კოდექსში აამოქმედა წესი, რომლის თანახმადაც ინვესტორები და მეწარმეები მოგების გადასახადისგან თავისუფლდებიან, თუ ისინი შემოსავლებს არ გაანაწილებენ. ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა პირიქით, ხელს უშლის ინვესტორთა აქტივობას, სხვადასხვა შეზღუდვების დაწესებით, რაც თავისთავად, ხელს უშლის ახალი ინვესტიციების მოზიდვას. საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყანას წარმოადგენს და ისევე, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ასევე საქართველოშიც, საინვესტიცო კანონმდებლობა მუდმივ განახლებას საჭიროებს. ამ კუთხით, სასურველია და აუცილებელიც, ქვეყანაში უფრო მეტად დაიხვეწოს შესაბამისი კანონები და მარეგულირებელი წესები უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისთვის, რომელიც ინვესტორისთვის უზრუნველყოფს ლიბერალური ნორმებისა და შეღავათების გარკვეული ვადით შენარჩუნებას. ცალსახად მიჩნეულია, რომ კერძო და სახელმწიფო ინვესტიციები ეფექტიანად მართვის შემთხვევაში ხელს უწყობს ქვეყნოს ეკონომიკის ზრდას როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, უფრო მეტად დასაქმებულებისა და კერძო კაპიტალის პროდუქტიულობის ზრდის გავლენით. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და კაპიტალური ინვესტიციების დონეს შორის აღნიშნული დადებითი კავშირის მიუხედავად, ისეთი ფაქტორები იჩენს თავს, რომელიც ზემოთ აღნიშნული გავლენის პრაქტიკაში რეალიზებისთვის არსებითია; საუბარია იმაზე, რომ კაპიტალური დანახარჯების დინამიკის ანალიზისას არამხოლოდ გამოყოფილი სახსრების მოცულობაა საყურადღებო, არამედ ინვესტიციათა მართვის პროცესის ეფექტიანობაც. სწორედ ეს ორი კომპონენტი განსაზღვრავს ეკონომიკური გარემოსთვის საბოლოო შედეგს. სახელმწიფო ინვესტიციათა მართვის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყოფა რამდენიმე ჩარჩო, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს, იდენტიფიცირებულ იქნას ის ძირითადი გამოწვევები და მახასიათებლები, რომლებიც

[19] *http://matsne.gov.ge*

ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სახელმწიფო ინვესტიციების პროდუქტიულობისათვის არსებითია. ერთ-ერთი მათგანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის(სსფ) მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო ინვესტიციათა მართვის პროცესის ეფექტიანობის შეფასების ჩარჩო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეკომენდაცია, ეფექტიანი სახელმწიფო ინვესტიციების შესახებ, მთავრობის სხვადახვა დონეზე და სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასების ჩარჩო. საქართველოში სახელმწიფო ინვესტიციათა მართვის სისტემის ძირითადი მახასიათებლებისა და გამოწვევების შესახებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სსფ-ის მიერ მომზადებული სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასება საქართელოსთვის და სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანობის შეფასება; ისინი 2018 წელს გამოქვეყნდა. ინვესტიციათა მართვის შეფასების მხრივ სსფ აკეთებს დასკვნას, რომ საქართველოში სახელმწიფო ინვესტიციების მართვისა და კერძო და საჯარო თანამშრომლობის პოლიტიკა და ჩარჩო ეტაპობრივად გადის დახვეწის ეტაპებს; საქართველოს აქვს როგორც წარმატებები, ასევე დიდი გამოწვევები ამ მიმართულებით. [20]აღნიშნული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინვესტიციო ხარჯების დაგეგმილი არსებითი ზრდის ფონზე პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ფონდის ანგარიშში დადებითად არის შეფასებული საინვესტიციო პროექტების მართვის ცალკეული კომპონენტების, მათ შორის კი შესყიდვებისა და ლიკვიდობის მართვის კუთხით არსებული პროგრესი, თუმცა, ამასთან ერთად გამოყოფილია სახეზე არსებული გამოწვევები , რომლებიც რაც მალე მოგვარდება, მით უკეთესი. ეს გამოწვევებია:

- გამოწვევები თავს იჩენს საინვესტიციო რესურსების ბიუჯეტირების კონტექსტში, მათ შორის, საშუალოვადიანი პერიოდისათვის;
- ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია ინფრასტრუქტურული გეგმა, ან ეროვნული საინვესტიციო სტრატეგია;

20

pbo.parliament.ge. n.d. http://pbo.parliament.ge/ge/rs/theme/item/528-2019-07-12-14-48-35.

- საინვესტიციო პროექტების განხორციელების გეგმები არ მზადდება და ექს-პოსტ აუდიტები არ არის რეგულარული;
- დღეისათვის არსებული პრაქტიკით, შიდა საბიუჯეტო პრაქტიკით დაფინანსებული კაპიტალური პროექტების შერჩევა სათანადო სტანდარტიზებული და/ან თანმიმდევრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით არ ხორციელდება;
- ის კაპიტალური პროექტები, რომლებიც საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრებით არ არის დაფინანსებული, ძირითად შემთხვევაში სათანადო წინასწარ შეფასებას სტანდარტულ მეთოდოლოგიაზე, ან ცენტრალიზებულ მხარდაჭერაზე დაყრდნობით, არ ექვემდებარება;
- არ გვაქვს სტანდარტული მეთოდოლოგია , კაპიტალური აქტივების მოვლა-შენახვისა და შეკეთების დაფინანსების საჭიროებების შესაფასებლად, ან მონიტორინგისთვის(გზების გარდა).

როგორც ფინანსთა სამინისტრო იუწყება, აღნიშნულ პრობლემებზე განსაკუთრებული მონდომებით მუშაობა 2015 წლიდან მიმდინარეობს. რაც შეეხება ინსტიტუციურ მოწყობას, მხარჯავი დაწესებულებების მიერ საპილოტე რეჟიმში საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტების შეფასება ხორციელდება სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმატით; იგი მოიცავს ფინანსთა სამინისტროს რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფიდან წარმომადგენლებს და ასევე, სხვადასხვა უწყებიდან, საჭიროების მიხედვით. გარდა ამისა, მიმდინარეობს საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის ეტაპობრივად დანერგვა; პარალელურად მიმდინარეობს არსებული მეთოდოლოგიისა და გზამკვლევის ახლებური გადამუშავება, მათ შორის კი საინვესტიციო პროექტების სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, თითოეული მონაწილის როლის განსაღვრისა და გაძლიერების კუთხით. საბოლოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკანონმდებლო სტრუქტურა და კლიმატი ინვესტირების კუთხით საქართველოში ჯერ კიდევ დახვეწის ეტაპზეა და საჭიროა მისი შემდგომი სტრუქტურული სრულყოფა, რათა საქართველოში ინვესტირება მეტად დაცული იყოს და შესაბამისად, მიმზიდველი ინვესტორისათვის,

სანდოობის კუთხით. სხვა გამოკვეთილ ასპექტებთან ერთად, აღნიშნული დეტალი ფრიად მნიშვნელოვანია.

თავი 2. მაკროეკონომიკური გარემოსა და სარეიტინგო ინდიკატორების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე

1.მაკროეკონომიკური გარემოს ანალიზი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი(შემდგომში - სსრკ) დაიშალა, მისი შემადგენელი წევრი ქვეყნები(შემდგომში - დამოუკიდებელი სახელმწიფოები) განსხვავებული გზებით, თუმცა მაინც დაადგნენ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, რომელიც თავისთავად გამორიცხავდა რაიმე სახის მსგავსებას ძველ სოციალურ წყობასთან. აღნიშნული პროცესები საქართველოსაც ეხებოდა. სისტემის დაშლის დროისათვის ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა არანაირი ფინანსური რესურსი და დანგრეულ ეკონომიკას რაც შეიძლება მეტი ინვესტიციური ნაკადები სჭირდებოდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; აღნიშნული შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური რეფორმები ეფექტურად გატარდებოდა, ეს უკანასკნელი კი მოითხოვდა დროს. საქართველომ, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, 1995 წელს შემოიღო ეროვნული ვალუტა - ლარი, მოახდინა საკუთრების ფორმის ფართოდ ტრანსფორმირება, სხვადასხვა ინსტიტუციონალური რეფორმა გაატარა და სხვა ღონისძიებები ჩაატარა, რამაც გამოიწვია ინვესტორთა მეტად დაინტერესება ქვეყანაში ინვესტირების მხრივ. განვიხილოთ რამდენიმე ეკონომიკური მაჩვენებელი

საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის და ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სსრკ-ის დაშლის შემდგომ და რა კავშირშია ეს მაჩვენებლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან.

მშპ

ვნახოთ, თუ როგორ იცვლებოდა 1990 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ) მოცულობა საბჭოთა კავშირის 15 ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა ყველა ქვეყნის ეკონომიკა შემცირდა, რაც მიმდინარე პროცესებით იყო განპირობებული.

ცხრილი 1. მშპ-ს მოცულობა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში 1990-2019 წლებში(მლრდ აშს დოლარი).

წლები	საქართველო	აზერბაიჯანი	სომხეთი	უკრაინა	მოლდოვა	ესტონეთი	ლატვია	ლიტვა	რუსეთი	ბელორუსი	ყაზახეთი	უზბეკეთი	ტაჯიკეთი	ყირგიზეთი	თურქმენეთი	ჯამი
1990	7.8	88.6	2.3	81.5	3.6	-	-	-	516.8	21.7	26.9	13.4	2.6	2,7	3,2	686.9
1991	6.4	87.9	2.1	77.5	3.1	-	-	-	518	17.4	24.9	13.8	2.5	2.6	3.2	680.4
1992	3.7	49.9	1.3	73.9	2.3	-	-	-	460.3	17.1	24.9	12.9	1.9	2.3	3.2	608.8
1993	2.7	39.8	1.2	65.7	2.4	-	-	-	435.1	16.3	23.4	13.1	1.7	2.1	3.2	570.6
1994	2.5	33.1	1.3	52.6	1.7	-	-	-	395.1	14.9	21.3	12.9	1.4	1.7	2.6	511.1
1995	2.7	30.5	1.5	48.2	1.8	43.4	5.8	7.9	395.5	14	20.4	13.4	1.2	1.7	2.5	523.8
1996	3.1	31.8	1.6	44.6	1.7	47.5	6	8.4	391.7	14.8	21.1	14.08	1.1	1.8	2.4	519.9
1997	3.5	39.6	1.7	50.2	1.9	50.7	6.5	10.1	404.9	14.1	22.2	14.8	0.9	1.8	2.6	544
1998	3.6	44.5	1.9	41.9	1.6	56.2	7.2	11.3	271	15.5	22.2	15	1.3	1.7	2.6	406.7
1999	2.8	45.8	1.9	31.6	1.2	57.3	7.5	11	195.9	12.1	16.9	17.1	1.1	1.3	2.6	313
2000	3.1	5.3	1.9	31.3	1.3	56.9	7.9	11.5	259.7	12.8	18.3	13.8	0.9	1.4	2.9	377.6
2001	3.2	5.7	2.1	38	1.5	62.5	8.4	12.3	306.6	12.4	22.2	11.4	1.1	1.5	3.5	436.1
2002	3.4	6.2	2.4	42.4	1.7	73.2	9.6	14.3	345.1	14.6	24.7	9.7	1.2	1.6	4.5	488.5
2003	4	7.3	2.8	50.1	2	98.3	11.8	18.8	430.4	17.8	30.9	10.1	1.6	1.9	6	605.2
2004	5.1	8.7	3.6	64.9	2.6	12.1	14.4	22.7	591.1	23.1	43.2	12.1	2.1	2.2	6.9	814.9
2005	6.4	13.3	4.9	86.2	3	14	16.9	26.1	764	30.2	57.1	14.3	2.3	2.5	8.1	1049
2006	7.8	21	6.4	107.2	3.4	16.1	21.	30.	990	37	81	17.1	2.8	2.8	10.	1354

							4	2							3	
2007	10.22	33.1	9.2	142.7	4.4	22.3	30.9	39.7	1300	45.35	104.9	22.3	3.7	3.8	12.7	1785
2008	12.85	48.9	11.7	180	6.1	22.2	35.6	47.9	1661	60.7	133.5	27.9	5.2	5.1	19.3	2278
2009	10.8	44.3	8.7	117.2	5.4	19.7	26.2	37.5	1223	49.2	115.3	32.8	5	4.7	20.2	1720
2010	11.7	52.9	9.3	136.4	5.8	19.5	23.8	37.1	1525	55.2	148.1	39.3	5.6	4.8	22.6	2097
2011	14.4	66	10.2	163.2	7	23.2	28.4	43.5	2032	59.7	192.6	45.3	6.5	6.2	29.2	2375
2012	15.9	68.7	10.6	175.2	7.3	23.1	28	42.9	2170	63.6	208	51.2	7.6	6.6	35.2	2922
2013	16.1	73.6	11.2	183.3	8	25.3	30.2	46.4	2231	73.1	236.7	56.8	8.5	7.3	39.2	3051
2014	16.6	75.2	11.7	133.5	8	26.5	31.3	48.4	2031	76.1	221.4	63.1	9.2	7.5	43.5	2807
2015	14	53.1	10.6	90.6	6.6	22.7	27	41.3	1326	54.6	184.4	67	7.9	6.6	37.3	1949
2016	14.4	37.9	10.6	93.3	6.8	23.4	42.8	27	1283	47.4	137.3	67.2	6.7	6.6	36.2	2021
2017	16.2	45.4	11.53	112.19	9.67	30.9	30.46	47.54	1578.6	54.73	162.89	59.16	7.16	7.7	37.93	2212.06
2018	17.6	46.9	12.43	130.85	11.31	30.28	34.85	53.25	1657.6	59.66	170.54	50.5	7.52	8.09	40.76	2332.14
2019	17.7	57	13.3	140	12	26.61	35.8	54.3	1750	60.45	168.5	55	8	8.35	42	2449.01

წყარო: სილაგაძე ლევან. ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში(1996-2016). 2018

Http://Tradingeconomics.org

მოცემული ცხრილი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ სხვადასხვა სახის დასკვნები, აღნიშნულ წლებში მშპ-ს მოცულობების საფუძველზე:

- საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 90-იანი წლების პირველ ნახევარში მშპ-ს თითქმის ნულოვანი ზრდა შეიმჩნეოდა და შესამჩნევი ზრდა მხოლოდ მეორე ნახევრიდან დაიწყო;
- 2019 წლის მონაცემებით, მშპ-ს მოცულობის მიხედვით, პირველ სამეულს ინაწილებენ: რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი და უკრაინა; საქართველო ამ მაჩვენებლით მე-11 ადგილზეა, ხოლოდ ბოლო სამეულზე განლაგებული არიან ტაჯიკეთი(8), ყირგიზეთი(8.35) და მოლდოვა(12). საქართველოს შედარებით ბოლო ადგილებზე ყოფნას ძირითადად ის ფაქტორი განაპირობებს, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში უცხოელი ინვესტორებისთვის ძირითადად ის ქვეყნები

აღმოჩნდა ინვესტირების კუთხით მიმზიდველი, რომლებიც მეტი მოცულობით ენერგორესურსებს ფლობდნენ, საქართველო კი ამ მხრივ დიდად არ გამოირჩევა;

- 2019 წლის მონაცემებით, საქართველო მშპ-ს მოცულობით, მეზობელი ქვეყნებიდან უსწრებს მხოლოდ სომხეთს და ჩამორჩება რუსეთსა და აზერბაიჯანს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ტენდენცია წლების მანძილზე შენარჩუნებულია და არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ეს ჩამორჩენა პროცენტულად უფრო დაბალი იყო 90-იან წლებში და კონკრეტულად 1990 წელს რუსეთთან მიმართებაში, ვიდრე დღეს არის; აზერბაიჯანთან პროცენტული ჩამორჩენა შემცირდა. საქართველოსა და სომხეთს შორისაც შემცირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობებს შორის პროცენტული სხვაობა. პოსტსაბჭოთა დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოსათვის რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი შედარებით პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ჩვენი ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარე ნებისმიერი ტიპის ეკონომიკური მოვლენა, თუ პროცესი პირდაპირ მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე.

მშპ-ს ზრდის ტემპი

მშპ-ს ზრდის ტემპი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია, რამდენადაც იგი თვალნათლივ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს უჩვენებს მიმართულებას, თუ რომელი ასპექტია გამოსასწორებელი და სად იჩენს თავს ,,ჩავარდნა''. პოსტსაბჭოური ქვეყნების ერთგვარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი ხშირ შემთხვევაში აღემატება, ან ჩამორჩება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკურ არამდგრადობაზე მიუთითებს და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ინვესტორს აიძულებს თავი შეიკავოს ინვესტირებისაგან - ამის შედეგია ინვესტიციური ნაკადების შემცირება. ვნახოთ, საბჭოთა კავშირის დაშლის

შემდგომ, 1990 წლიდან 2019 წლამდე როგორ იცვლებოდა მშპ-ს ზრდის ტემპი საქართველოში და შევადაროთ იგი დანარჩენი პოსტსაბჭოური ქვეყნის მაჩვენებლებს, რათა დასკვნების გაკეთება შევძლოთ.

ცხრილი 2. მშპ-ს ზრდის ტემპები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 1990-2018 წლებში(პროცენტებში).

წლები	საქართველო	აზერბაიჯანი	სომხეთი	უკრაინა	მოლდოვა	ესტონეთი	ლატვია	ლიტვა	რუსეთი	ბელარუსი	ყაზახეთი	უზბეკეთი	ტაჯიკეთი	თურქმენეთი	ყირგიზეთი
1990	-14.8	-	-	-6.3	-2.4	-	-	-	-3	-	-	1.6	-0.6	35.4	5.7
1991	-21.1	-0.7	-11.7	-8.4	-16	-	-	-	-5	-1.2	-11	-0.5	-7.1	-4.6	-7.9
1992	-44.9	-22.6	-41.8	-9.7	-29.1	-	-	-	-14.5	-9.6	-5.3	-11.2	-29	-15	-14
1993	-29.3	-23.1	-8.8	-14.2	-1.2	-	-	-	-8.7	-7.6	-9.2	-2.3	-16.4	1.5	-16
1994	-10.4	-19.7	5.4	-22.9	-30.9	-	-	-	-12.6	-11.7	-12.6	-5.2	-21.3	-17.3	-20
1995	-2.6	-11.8	6.9	-12.2	-1.4	-	-	-	-4.1	-10.4	-8.2	-0.9	-12.4	-7.2	-5.4
1996	11.2	1.3	5.9	-10	-5.2	5.3	2.4	5.1	-3.6	2.8	0.5	1.7	-16.7	6.7	7.1
1997	10.5	5.8	3.3	-3	1.6	11.8	9	8.3	1.4	11.4	1.7	5.2	1.7	-11.4	9.9
1998	3.1	10	7.3	-1.9	-6.5	4.1	6.5	7.5	-5.3	8.4	-1.9	4.3	5.3	7.1	2.1
1999	2.9	7.4	3.3	-0.2	-3.4	-0.9	2.6	-1.1	6.4	3.4	2.7	4.3	3.7	16.5	3.7
2000	1.8	11.1	5.9	5.9	2.1	10.6	5.4	3.8	10	5.8	9.8	3.8	8.3	5.5	5.4
2001	4.8	9.9	9.6	9.2	6.1	6.3	6.5	6.5	5.1	4.7	13.5	4.2	10.2	4.3	5.3
2002	5.5	10.6	13.2	5.2	7.8	6.1	7.1	6.8	4.7	5	9.8	4	10.8	0.3	0
2003	11.1	11.2	14	9.4	6.6	7.4	8.4	10.5	7.3	7	9.3	4.2	11	3.3	7
2004	5.9	10.2	10.5	12.1	7.4	6.3	8.3	6.6	7.2	11.4	9.6	7.7	10.3	5	7
2005	9.6	26.4	13.9	2.7	7.5	9.4	10.7	7.7	6.4	9.4	9.7	7	6.7	13	-0.2
2006	9.4	34.5	13.2	7.3	4.8	10.3	11.9	7.4	8.2	10	10.7	7.3	7	11	3.1
2007	12.3	25	13.7	7.9	3.1	7.7	10	11.1	8.5	8.6	8.9	9.9	7.8	11.1	8.5
2008	2.3	10.8	6.9	2.3	7.8	-5.4	-3.6	2.6	5.2	10.2	3.3	9	7.9	14.7	8.4
2009	-3.8	9.4	14.1	-14.8	-6	-14.7	-14.3	-14.8	-7.8	0.2	1.2	8.1	3.8	6.1	2.9
2010	6.3	4.9	2.2	4.2	7.1	2.5	-3.8	1.6	4.5	7.7	7.3	8.5	6.5	9.2	0.5
2011	7.2	0.1	4.7	5.2	6.4	7.6	6.4	6	4.3	5.5	7.2	8.3	7.4	14.7	6
2012	6.4	2.2	7.2	0.2	-0.7	4.3	4	3.8	3.5	1.7	4.6	8.2	7.5	11.1	-0.1
2013	3.4	5.8	3.3	0	9.4	1.9	2.4	3.5	1.8	1.1	5.8	8	7.4	10.2	10.9
2014	4.6	2	3.5	-6.6	4.8	2.9	1.9	3.5	0.7	1.7	4.1	8.1	6.7	10.3	4
2015	2.9	1.1	3.2	-9.8	-0.4	1.7	3	2	-2.8	-3.8	1.2	8	6	6.5	3.9
2016	3	-3.1	0.2	2.3	4.1	2.1	2.2	2.4	0.2	-2.7	1.1	7.8	6.9	6.2	3.8
2017	4.8	-0.3	7.5	2.5	4.7	5.7	3.8	4.2	1.6	2.5	4.1	4.5	7.6	6.5	4.7
2018	4.8	1.4	5.2	3.3	3.4	4.8	4.6	3.6	2.3	3.0	4.1	5.1	7.3	6.2	3.5

წყარო:სილაგაძე ლევან.,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში."(1996-2016).2018

Http://Tradingeconomics.org

ცხრილში ინფორმაცია მოცემულია 2018 წლის ჩათვლით. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მშპ-ს ზრდის ტემპები იმაზე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დანარჩენ სახელმწიფოებში. ეს ყოველივე ამ ქვეყნების ერთ-ერთ დამახასიათებელ

თავისებურებად ითვლება. სსრკ-ს დაშლის შემდგომ, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა თურქმენეთსა და აზერბაიჯანში, შესაბამისად, 35.4% 1990 წელს და 34.5% 2006 წელს. საქართველოსთვის აღნიშნული მაჩვენებლის მაქსიმუმი დაფიქსირდა 2007 წელს და იგი 12.3%-ს შეადგენდა. ჩვენ ქვეყანაში დაფიქსირებული აღნიშნული რიცხვი შეიძლება იმას დავუკავშიროთ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ნაკლები ფართობისა და შედარებით მცირე მოცულობით ისეთი რესურსების მფლობელია(ენერგორესურსები, ნავთობი, გაზი), რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეკონომიკის ზრდის ტემპების მოცულობის გადიდებას განაპირობებს. 2003 წელს ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლას მოჰყვა ახალი რეფორმები და ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად განხორციელებული ღონისძიებები; 2007 წლის აღნიშნული მონაცემიც შეიძლება ამის შედეგად განვიხილოთ. მიმდინარე წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამაც ერთ-ერთ სერიოზულ ნიშნულს მიაღწია და მან 1 764.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა[21]. იმავე კანონზომიერებას ავლენენ პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნებიც, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ეკონომიკური ინდიკატორების მდგომარეობა პირდაპირ უკავშირდება შემოდინებული პუი-ის მოცულობას და ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობას. ცხრილი ასევე საშუალებას გვაძლევს ვნახოთ, რომ ეკონომიკის მასშტაბების ყველაზე დიდ შემცირებას ადგილი 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, სომხეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, უკრაინაში, თურქმენეთსა და ყირგიზეთში; აღნიშნული უკავშირდება მოცემულ ქვეყნებში შიდა და გარე კონფლიქტების არსებობას, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა. ამ წლების მანძილზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინვესტიციათა ნაკადებიც მკვეთრად იყო შემცირებული. საქართველოში უკანასკნელი 3 წლის მანძილზე(იგულისხმება 2016-20018 წლები) ზრდის ტემპები უფრო მეტი იყო, ვიდრე დანარჩენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში, რაც ძირითადად ევროპული ვექტორის გაძლიერებითა და ბაზრების დივერსიფიკაციით იყო განპირობებული; შესაბამისად, პუი-ების ნაკადებიც დიდი მოცულობით ხასიათდებოდა - შესაბამისი 1650.3, 1962.6 და 1265.2 მლნ. აშშ დოლარით.

[21] *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Http//:geostat.ge*

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში განსხვავებულად წარიმართა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, რაც მათი განსხვავებული სპეციფიკით იყო გამოწვეული. მათთვის ძლიერ მნიშვნელოვანი იყო, რაც შეიძლება მეტი მოცულობის ინვესტიციები მოეზიდათ. სისტემის რღვევის შემდეგ პუი-ების მოცულობები გავაანალიზოთ 1990-2016 წლებისათვის, ამისათვის კი შემდეგი ცხრილი გამოვიყენოთ:

ცხრილი3. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში(მლნ,მიმდინარე აშშ დოლარი), 1990-2018წწ.

წლები	სომხეთი	აზერბაიჯანი	ბელორუსი	ესტონეთი	საქართველო	ყაზახეთი	ყირგიზეთი	ლიტვა	ლატვია	მოლდოვა	რუსეთი	ტაჯიკეთი	უკრაინა
1990	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1991	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1992	-	-	-	-80	-	-	-	-	-27	-	-	-	-
1993	-0.8	-	-17	-156	-	-	-10	-30	-50	-	-	-	-
1994	-8	-	-11	-212	-	-	-38	-31	-279	-12	-379	-	-151
1995	-25	-330	-15	-199	-	-964	-96	-72	-245	-66	-1.46	-	-257
1996	-18	-627	-105	-110	-	-1.137	-47	-152	-379	-23	-1.656	-	-526
1997	-52	-1.115	-350	-130	-243	-1.32	-83	-382	-515	-78	-1.681	-	-581
1998	-221	-1.023	-201	-574	-265	-1.143	-87	-921	-303	-76	-1.552	-	-747
1999	-122	-510	-443	-222	-81	-1.583	-38	-478	-331	-38	-1.061	-	-489
2000	-104	-129	-119	-324	-128	-1.278	7	-375	-317	-127	501	-	-594
2001	-70	-227	-96	-342	-106	-2.861	1	-439	-89	-103	-306	-	-769
2002	-111	-1.067	-453	-153	-156	-2.164	-5	-695	-207	-84	59	-36	-698
2003	-122	-2.352	-170	-763	-331	-2.213	-46	-142	-231	-74	1.795	-32	-1.411
2004	-247	-2.351	-163	-698	-483	-5.436	-132	-574	-507	-148	-1.621	-272	-1.711
2005	-287	-459	-304	-2.254	-542	-2.119	-43	-745	-584	-191	2.372	-54	-7.533
2006	-444	1.289	-354	-676	-1.185	-6.689	-182	-1.739	-1.493	-259	-7.602	-339	-5.737
2007	-659	5.035	-1.792	-977	-1.691	-8.031	-209	-1.726	-1.944	-524	-11.072	-360	-9.218
2008	-913	541	-2.157	-618	-1.429	-13.115	-377	-1.173	-1.091	-695	-19.12	-487	-9.903

2009	-708	-147	-1.774	-503	-685	-10.083	-190	-965	-44	-265	6.697	-149	-4.654
2010	-502	-331	-1.343	-1.351	-730	-3.665	-455	-996	-395	-283	9.448	-94	-5.759
2011	-434	-933	-3.877	-2.49	-987	-8.583	-690	-1.066	-1.412	-323	11.767	-146	-7.015
2012	-473	-812	-1.308	-506	-751	-11.856	-277	-255	-919	-224	-1.765	-242	-7.195
2013	-316	-1.142	-1.984	-247	-919	-8.034	-619	-382	-495	-211	17.288	-283	-4.079
2014	-378	-2.443	-1.789	-646	-1.43	-4.675	-230	188	-368	-304	35.051	-327	-299
2015	-155	-838	-1.546	-140	-1.42	-3.261	-1.009	-687	-668	-218	15.232	-454	-3.012
2016	-263	-1.926	-1.124	-561	-1.243	-13.746	-579	-150	-105	-75	-10.225	-207	-3.268
2017	-222	-303	-1.208	-1.07	-1.693	-3.756	78	-612	-549	-143	8.2	-63	-2.593
2018	-247	358	-1.371	-1.421	-925	-4.858	-139	-54	-787	-270	22.592	-249	-2.36
1996-2018	-7102	-11842	-24074	-13867	-14576	-121251	-5495	-14653	-14334	-4814	+40116	-3794	-78201

წყარო:http://worldbank.org. https://data.worldbank.org/indicator/BN.KLT.DINV.CD?locations=UA&page=6

ცხრილში არ არის მონაცემები ორ პოსტსაბჭოურ ქვეყანაზე, ესენია: თურქმენეთი და უზბეკეთი. 1990-2018 წლებში ამ ქვეყნების წმინდა შემოსულობები და წმინდა გასავლები ერთმანეთს აბათილებს და ჯამში 0-ს გვაძლევს, თუ არ ჩავთვლით უზბეკეთის ბოლო 3 წლის მონაცემს - ესენია 2016, 2017 და 2018, შესაბამისად -1.657 მლრდ., -1.788 მლრდ. და -623 მლნ. აშშ დოლარი.[22] ცხრილი გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობებით გამოისახება. აღნიშნული ინფორმაცია საქართველოზე 1996 წლიდან მოიპოვება - ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია ნაწილობრივ დასტაბილურდა და სტატისტიკური სამსახური შეიქმნა, რომელიც მსგავსი სახის ინფორმაციას გააანალიზებდა. ჩვენ ქვეყანაში წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველა

[22] *http://worldbank.org. https://data.worldbank.org/indicator/BN.KLT.DINV.CD?locations=UZ*

წლის მნიშვნელობა უარყოფითია, რაც იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ წლებში წმინდა შემოსულობები წმინდა გასავლებს აჭარბებს - ანუ, იმაზე მეტი ინვესტირება შემოდის საქართველოში, ვიდრე ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადის; აზერბაიჯანში, ყირგიზეთსა და რუსეთში სხვადასხვა წლებში აღნიშნული მაჩვენებლის დადებითი მნიშვნელობები დაფიქსირდა; ყველაზე დიდი მოცულობით წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შეინიშნება უკრაინაში, რუსეთსა და ყაზახეთი. აღნიშნულს განაპირობებს ის, რაც ზემოთ აღინიშნა - პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინვესტორებს ძირითადად ენერგორესურსებით შედარებით მდიდარი ქვეყნები იზიდავთ და ეს სამი ქვეყანა ამ პირობებს აკმაყოფილებს(უკრაინა მეტ-ნაკლებად); რუსეთს გააჩნია ბუნებრივი აირის მარაგები; ყაზახეთის ეკონომიკის ზრდის მთავარი წყარო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაა, ხოლო უკრაინა ფლობს ისეთი ბუნებრივი რესრუსების მარაგებს, როგორიცაა: რკინის მადანი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი, მანგანუმი, მარილი, ნავთობი, გოგირდი, გრაფიტი, ტიტანი, მაგნეზიუმი, ხე-ტყე და სხვ.[23] 1990-2018 წლებში საქართველოს წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა სომხეთისა და აზერბაიჯანის მაჩვენებლებს აღემატება, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ აზერბაიჯანიდან უცხოეთში უფრო მეტი ინვესტიცია გაედინება, ვიდრე საქართველოდან.[24] ქვეყანას შედარებით კარგი მაჩვენებლები აქვს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით; ამის განმაპირობებლად შეიძლება ის დეტალი ჩაითვალოს, რომ საქართველო სატრანზიტო სახელმწიფოს წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის და საკმაოდ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა მშპ, მშპ-ს ზრდის ტემპი, წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინფლაციის მაჩვენებლები, უმუშევრობის დონე და სხვ. პირდაპირ უკავშირდება ინვესტიციური ნაკადების მოცულობას - ცუდი მაჩვენებლები ნაკლებ ინვესტიციებს ნიშნავს და პირიქით, ნაკლები მოცულობით ინვესტიციები ცუდი ეკონომიკური მონაცემების წინაპირობაა.

---

[23] *http://wikipedia.org*. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90#%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

[24] *სილაგაძე ლევან.,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში."(1996-2016).2018*

2.სარეიტინგო ინდიკატორები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ინვესტირების შედეგად იზრდება ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგი, რაც უფრო მაღალი დასაქმების დონეს და მაღალ მწარმოებლურობას უზრუნველყოფს. ჩვენი ქვეყნის გეოეკონომიკური მდებარეობა უცხოელი ინვესტორებისთვის საკმაოდ მიმზიდველია; ისევე როგორც უწინ, ქვეყანა დღემდე მთავარი დამაკავშირებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გავლით უამრავი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი განხორციელდა. საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სატრანზიტო ფუნქციის შესრულებაში. გარდა საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებისა, ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი აირსადენები და ნავთოსადენები გადის. უახლოს პერიოდებში, საქართველოში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან აღსანიშნავია:

- სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ'' 2017 წელს ააშენა კახეთის მაგისტრალური გაზსადენის თელავი-ახმეტის 27 კმ-იანი მონაკვეთი. გაზსადენის მშენებლობა ტენდერში გამარჯვებულმა ქართულმა კომპანია შპს ,,რაპიდ ინჯინიირინგ&კონსტრაქშენმა'' განახორციელა. ამით დარსულდა

მაგისტრალური გაზსადენის კახეთის განშტოების რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. პროექტის შედეგად გაზსადენის დაზიანებულ მონაკვეთზე მეოცე საუკუნის 70-იან წლებში აშენებული მილები ჩანაცვლდა. ახალი მილსადენების დამონტაჟების მიზანი იყო კახეთის რეგიონების ბინებრივი აირით შეუფერხებლად მომარაგება;

- *აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი.* სამხრეთის დერეფნის ფარგლებში, გაზის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტის ჩამოსაყალიბებლად, 2009-2010 წლებში მიღწეულ იქნა შეთანხმება აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის რეალიზაციაზე. იგი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისა და შავი ზღვის გავლით ჯერ რუმინეთში, შემდეგ კი ევროპაში გაზის გადატანას მოიცავს. 2011 წლის სექტემბერში ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუმინეთის პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა პროექტის მხარდამჭერ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. ინტერკონექტორის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების მიზნით, ერთობლივმა კომპანიამ დაიქირავა ინგლისური საკონსულტაციო კომპანია და 2015 წლის იანვარში მიღებულ იქნა შესაბამისი დასაბუთება;
- *ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის პროექტი.* კასპიური ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების მიზნით, ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის პროექტის(ცნობილი, როგორც EAOTC) მონაწლიე ქვეყნების: აზერბაიჯანის,ლიტვის, საქართველოს, პოლონეთისა და უკრაინის პრეზიდენტებმა 2007 წლის 11 მაისს კრაკოვში, მინისტრებმა კი გდანსკში, 5 ივნისს, კომუნიკეს მოაწერეს ხელი; ამის შედეგად, კასპიური ნავთობის ევროპულ და მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირებისთვის დერეფნის შექმნას დაეჭირა მხარი. იმავე წლის ოქტომბერში ქალაქ ვილნიუსში გამართულ ენერგეტიკულ სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მილსადენების საერთაშორისო კომპანია ,,სარმატია'', რომლის საწესდებო კაპიტალიც 20.06 მლნ. პოლონურ ზლოტს შეადგენს. ,,სარმატიას'' ძირითად მიზანს ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის პროექტის რეალიზაცია წარმოადგენს;

- *ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საინვესტიციო პროექტი.* აღნიშნული პროექტის მსნებლობა 2008 წელს დაიწყო და იგი აერთიანებს საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის სარკინიგზო ხაზებს. 2015 წლის 29 იანვარს აღნიშნულ მონაკვეთზე პირველმა სატესტო მატარებელმა გაიარა, ხოლო 2017 წლის 30 ოქტომბერს იგი ოფიციალურად გაიხსნა. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ ხაზის ყოველწლიური ტვირთბრუნვა 6.5მლნ. ტონა იქნებოდა, ხოლო შემდგომში ეს რიცხვი 17 მლნ-მდე უნდა გაზრდილიყო.[25]

ამ და სხვა საინვესტიციო პროექტებმა, რომელშიც საქართველომ უშუალო მონაწილეობა მიიღო, ან ინვესტირება ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა, ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობა გაზარდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე დადგომის და საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის ინვესტორები ეჭვის თვალით უყურებდნენ საქართველოში ინვესტიციების ჩადებას, ამიტომაც 1990-2003 წლებში ქვეყანაში ინვესტიციური ნაკადები დაბალი მოცულობის იყო - სულ რაღაც 335 მლნ. აშშ. დოლარი.[26] გატარებულმა რეფორმებმა და შემუშავებულმა ღონისძიებებმა საკუთარი კვალი დატოვა ნდობის კუთხით და ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ ინვესტიციური ნაკადები გაიზარდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ პრივატიზაციის პროცესები, რომელმაც დიდი როლი შეასრულა; პრივატიზების პროცესი საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო , თუმცა აღნიშნული პროცესის გაძლიერებული ტალღა ,,ვარდების რევოლუციას'' უკავშირდება. პრივატიზაციის პოლიტიკის მიზანს დღეისათვის წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოო სიმძლავრეებისა და უძრავ-მოძრავი ქონების დაჩქარებული ტემპებით განკერძოება; ასევე, ეკონომიკის რადიკალური დერეგულაცია. 1992-1996 წლებში საქართველოში განხორციელებული მასობრივი პრივატიზაციის მიუხედავად, მას პრაქტიკულად არ მოუტანია არანაირი სახის შემოსავალი ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან დიდი ზომის საწარმოები ისე სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდნენ ისევე, როგორც ,,სტრატეგიულ ობიექტებად'' წოდებული ფირმები. ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ, საქართველო არასამთავრობო

[25] http://gogc.ge. https://www.gogc.ge/ka/projects/all/2/

[26] *სილაგაძე ლევან.,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.''(1996-2016).2018*

ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობის'' კვლევების კვლევებისა და კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით 124-ე ადგილს იკავებდა - ეს მაჩვენებელი კორუფციის მაღალ დონეზე მიუთითებდა. ეს მონაცემი, რა თქმა უნდა, ინვესტორებისთვის არ იყო სახარბიელო და მათთვის დაფიქრების მიზეზს წარმოადგენდა. 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად კი, მდგომარეობა შეცვლილია და კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო შესასწავლ 180 ქვეყანას შორის და 44-ე ადგილს ინაწილებს კოსტა-რიკასთან, ჩეხეთთან და ლატვიასთან.[27]იგი 58 ქულით სარგებლობს(შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც 0 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე მაღალ დონეზე, ხოლო 100 ქულა კორუფციის ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს). 2018 წელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი 2 ქულით არის გაუარესებული - აღნიშნულ წელს იგი 60 ქულით იყო წარმოდგენილი, თუმცა ეს გაუარესება სტატისტიკურად უმნიშვნელოდ ითვლება.

მსოფლიო ექსპერტების მიერ შემუშავებულია სხვადასხვა გლობალური მაჩვენებელი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ახასიათებს და ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლება, რათა მდგომარეობა გამოასწოროს. ერთ-ერთი მათგანია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი; იგი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით უჩვენებს, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია სახელმწიფო ექსპორტში, წლიური ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევაში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხში და ა.შ. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს აღნიშნული ინდექსის მიხედვით(შემდგომში GCI ინდექსი) 141 აღრიცხულ ქვეყანას შორის 74-ე ადგილი უჭირავს[28]. მისი სარეიტინგო ქულა 60.6-ის ტოლია. მაჩვენებელი წინა 5-6 წელიწადთან შედარებით ოდნავ გაუარესებულია. GCI ინდექსში 2018 წელს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებები განხორციელდა: კერძოდ, ქვეყნების შეფასების შკალა შეიცვალა და თუ ადრე 7 ქულა იყო მაქსიმუმი, დღეისათვის გვაქვს 100 ქულიანი შეფასების სისტემა; აღნიშნული შეფასების სისტემაში ქვეყნები 4

[27] http://transparency.ge https://transparency.ge/ge/post/2019-clis-korupciis-agkmis-indeksis-shedegebi-sakartvelos-antikorupciuli-repormebis-stagnaciaze

[28] http://weforum.org http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

მიმართულებით ფასდება, რომელიც თავის მხრივ, 12 მაჩვენებელს აერთიანებს.[29] 2012-2019 წლებში საქართველოში რამდენიმე სისტემური რეფორმა განხორციელდა, რომელიც ეკონომიკური და სოციალური კლიმატის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ჩვენმა ქვეყანამ კარგი შედეგები აჩვენა ისეთი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, ხელისუფლების გამჭვირვალობა, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო, კორუფციისგან გათავისუფლება და სხვ. განვიხილოთ უკანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებები და გავაკეთოთ დასკვნები:

- მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ,,ბიზნესის კეთების''(doing business) რეიტინგში 2019 წლის მონაცემებით, საქართველო დაწინაურდა და მე-6 ადგილზე გადმოინაცვლა, 2018 წლის მე-9 ადგილიდან და 2017 წლის მე-16 ადგილიდან(რეიტინგი შედგენილია 190 ქვეყის მიხედვით)[30];
- *საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის ინდექსის* 2019 წლის მონაცემების თანახმად, საქართველომ საკმაოდ კარგ შედეგს მიაღწია და 180 ქვეყანას შორის საპატიო 41-ე ადგილი დაიკავა. ქვეყნის სარეიტინგო ქულამ 100 ქულიანი შეფასების სისტემაში 58 ქულა შეადგინა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუ რას განსაზღვრავს მინიჭებული ქულა. ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის 19 ქვეყანას შორის ჩვენი ქვეყანა ისევ პირველ ადგილს ინარჩუნებს(უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იგი ამ ადგილს არ კარგავს);
- მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის: *,,კანონის უზენაესობის ინდექსი 2018-2019''* თანახმად, საქართველო მსოფლიოს 126 სახელმწიფოს შორის 41-ე ადგილზეა ; აქ მდგომარეობა გაუარესებულია - წინა წლებთან შედარებით ქვეყნის მდგომარეობა 4 პოზიციით გაუარესებულია. მოცემულ ინდექსში მაქსიმალური ქულა არის 1, საქართველო 0.68 ქულით არის წარმოდგენილი.

[29] *2018, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. Economy.ge. n.d. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2018_1_geo.pdf.*

[30] *http://doingbusiness.org https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report_web-version.pdf*

ყველაზე პრობლემურ მიმართულებებს ქვეყანაში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო მართლმსაჯულება წარმოადგენს.[31]

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია *ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი,* ვინაიდან იგი გვიჩვენებს იმ მანევრირების შესაძლებლობას, რომელიც ინვესტორს გააჩნია ინვესტიციების დაბანდების საკითხში. 2018 წელთან შედარებით, საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 4 პოზიციით დაწინაურდა და მე-12 ადგილი დაიკავა 180 ქვეყანას შორის, ევროპის მასშტაბით კი რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი უჭირავს.[32] ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური თავისუფლების 5 მიმართულება გააუმჯობესა. ესენია: სახელმწიფო ხარჯების კონტროლი, კორუფციისგან თავისუფლება, ფულადი თავისუფლება, ბიზნესის თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება. [33] ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად ქვეყნდება და ოთხი კრიტერიუმით განისაზღვრება: პირველია სახელმწიფო სააგენტოების ეფექტურობა, შემდეგ მოდის სახელმწიფოს ინტერვენციის დონე ქვეყნის ეკონომიკაში, კანონების შესრულება და ბაზრების გახსნილობა.

ვნახოთ, ეკონომიკური თავისუფლების რა მნიშვნელობებით იყო წარმოდგენილი საქართველო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე და გავაკეთოთ შესაბამისი ანალიზი.

ცხრილი3. საქართველოს დაკავებული ადგილის მნიშვნელობა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 2010-2019წწ.

წელი	დაკავებული ადგილის მნიშვნელობა
2010	26
2011	29
2012	34
2013	21
2014	22

[31] http://idfi.ge https://idfi.ge/ge/world_justice_project_georgia
[32] http://bm.ge https://bm.ge/ka/article/2020-wlis-quotekonomikuri-tavisuflebis-indeqsshi-saqartvelo-msoflioshi-me-12-adgilzea-/51242
[33] http://enterprisegeorgia.gov.ge http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf?fbclid=IwAR159CJA5r8WJPNKeiYShv31vATiO_gpzsuarpsQHuF1Ii0sG8rOt-BscmU

2015	22
2016	23
2017	13
2018	12
2019	12

წყარო:http://heritage.org [34]

აშკარაა, რომ საქართველო ბიზნესის კეთების თავისუფლების კონტექსტში გაუმჯობესების ტენდენციას აჩვენებს. ლოგიკურად, ზემოთ მოცემულმა მონაცემებმა პირდაპირპროპორციულად უნდა იმოქმედოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის დინამიკაზე. ახლა ვნახოთ, რა მოცულობის ინვესტიციები იქნა მოზიდული უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოში და დავაკავშიროთ ეს მაჩვენებლები ერთმანეთთან.

ცხრილი4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში(მლნ.აშშ დოლარი)1998-2019წწ.

წელი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა(მლნ.აშშ დოლარი)
1998	265.3
1999	82.2
2000	131.2
2001	109.8
2002	160.2
2003	334.6
2004	492.3
2005	452.8
2006	1171.2
2007	1764.7
2008	1575.2
2009	666.8
2010	865.6

[34] https://www.heritage.org/index/pdf/2017/book/index_2017.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2016/book/index_2016.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2015/book/index_2015.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2014/book/index_2014.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2013/book/index_2013.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2012/book/index_2012.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2011/index2011_highlights.pdf
https://www.heritage.org/index/pdf/2010/index2010_full.pdf

2011	1134
2012	1048.2
2013	1039.2
2014	1837
2015	1729.1
2016	1650.3
2017	1962.6
2018	1265.2
2019	1267.7

წყარო:http://geostat.ge https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

აღნიშნული წლების საერთო ტენდენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას გვიჩვენებს. მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- მსოფლიო სარეიტინგო მონაცემების გაუმჯობესების პარალელურად, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები გაიზარდა;
- 2008 წლის აგვისტოს ომმა დიდი დარტყმა მიაყენა ინვესტიციურ ნაკადებს და დროებით შეაფერხა მათი შემოდინება ქვეყანაში;
- 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებას დიდი გავლენა არ მოუხდენია ინვესტიციათა მოცულობაზე;
- 2019 წლის მონაცემები წინასწარია და შემდგომ კორექტირებას ექვემდებარება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადი 2007 წელს დაფიქსირდა და სავარაუდოა, რომ ,,ვარდების რევოლუციის'' შემდგომ განხორციელებული პოლიტიკის პასუხი იყო;
- ინვესტიციათა დაბალი მოცულობები 90-იან წლებს ემთხვევა - შესაძლოა, მათი მოცულობები უფრო ნაკლებიც ყოფილიყო, თუმცა მათი აღრიცხვა საუკუნის მიწურულს დაიწყო და ისინი ასე გამოიყურება.

2019 წლის წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 267.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წლის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები, რომელთაც საქართველოში ინვესტირება განახორციელეს, ასე გამოიყურება:

გრაფიკი1.უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, გამოსახული მლნ.აშს დოლარში.



წყარო:http://geostat.ge https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

წარმოდგენილ ქვეყნებს შორის ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა იყო ინგლისი - შესაბამისი 247.8 მლნ.$-ით; შემდეგ მოდის თურქეთი 236.5მლნ.$-ით; შემდეგია ირლანდია: 132.7მლნ$; აშშ-99მლნ.$; პანამა-78.1მლნ.$; ნიდერლანდები-52.9მლნ.$; რუსეთი-50.5მლნ.$; ჩინეთი-40.4მლნ.$ და ბოლო მეცხრე ადგილს იკავებს იაპონია, შესაბამისი 39.2მლნ.$-ით. მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციური ნაკადების უდიდესი ნაწილი-20.6% მიმართული იყო საფინანსო სექტორში ინვესტირებაზე, უმცირესი წილი კი კავშირგაბმულობის სექტორზე მოდის, შესაბამისი 3.6%-ით.[35] შესაბამისი მონაცემების ამსახველი დიაგრამა მოცემული ქვემოთ:

დიაგრამა1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით,2019 წლის წინასწარი მონაცემებით.



წყარო:http://geostat.ge https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

აღნიშნულ დიაგრამაში საფინანსო სექტორი 2009 წლიდან საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ მონაცემებსაც მოიცავს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისა,

[35] http://geostat.ge https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

უნდა აღინიშნოს დსთ-ის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ინვესტიციები, რომელთაც ხელი შეუწყვეს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას. დანარჩენ სექტორებს უჭირავს 19.6% და მასში შედის:განათლება, ვაჭრობა, კომუნალური,პერსონალური და სოციალური მომსახურება. კავშირგაბმულობის სფეროში ყველაზე დაბალი წილით წარმოდგენილი ინვესტირების ზუსტი მიზეზები უცნობია, თუმცა სავარაუდო განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება ტექნოლოგიების განვითარების შედარებით დაბალი დონე იქნას მიჩნეული, რის გამო ინვესტორები თავს იკავებენ აღნიშნულ სფეროში ინვესტირებისაგან.

თავი3.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში და მისი განხორციელების პერსპექტივები პოსტკრიზისულ პერიოდში

1.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელი ფაქტორები და სირთულენი

უკანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოში დღემდე არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და აფერხებს ეკონომიკურ წინსვლას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის მცირე ზომის ბაზარი წარმოადგენს, ასევეა სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი.კადრების არასათანადო კვალიფიკაცია და მათი კომპეტენციების თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობა იმის აუცილებლობას წარმოშობს, რომ შესაბამისი დარგის მუშაკების ჩამოყვანა საზღვარგარეთიდან განხორციელდეს. კვლევების უმეტესობა, მათ შორის ,,სტრატეგია2020'' ადასტურებს, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ეკონომიკური ზრდით მიღებული შედეგები სიღარიბის დონის შესამცირებლად

საკმარისი არ არის. [36]ამის შედეგად, საქართველო ცენტრალური აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის, უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. აღნიშნული საკითხი აქტუალური განხილვის საგანს იმიტომ წარმოადგენს, რომ მხოლოდ, მაგალითად, დაბალი გადასახადები ინვესტორისათვის საკმარისი არ არის ინვესტირებისათვის, ან სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად - მას აუცილებლად სჭირდება კვალიფიციური კადრები; გავრცელებული მიდგომის თანახმად კი, დაბალკვალიფიციური კადრები უარს აცხადებენ დაბალ ანაზღაურებაზე, შედარებით მაღალი კომპეტენციის მუშაკები კი ევროპულ ხელფასებს ითხოვენ.

შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა დგას და რომელიც საინვესტიციო კლიმატზე უარყოფითად მოქმედებს, არის **ქვეყანაში კონფლიქტური რეგიონების არსებობა;** პრობლემად გვევლინება ასევე, აღნიშნულ რეგიონებთან მუდმივად დაძაბული ურთიერთობის არსებობა. ქართულ-აფხაზურ ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც ,,ოკუპირებული ტერიტორიებისა'' და კონფლიქტური კონფლიქტური ვითარების შესახებ არსებული კანონის მიუხედავად, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მაინც არსებობს და ის საკმაოდ აქტუალურია საქართველოს ეკონომიკისათვის. დაძაბული ურთიერთობების აღმოფხვრა ოკუპირებულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არამხოლოდ საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკისთვის; ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია აქტიურად იყოს ჩართული ურთიერთობების მოწესრიგებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაში და განახორციელოს მათთან საერთო პროექტები. ურთიერთობების დალაგება ჩვენს ქვეყანას სამომავლოდ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო აქტივობებშიც წაადგება და აუცილებლად ასახვას ჰპოვებს საბოლოო კეთილდღეობის ამაღლებაში.

ინვესტიციათა შემაფერხებელი ფაქტორების განხილვისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ისეთ სერიოზულ საკითხზე, როგორიც **საკუთრების უფლების დაცვის საკითხია.** აღნიშნული დეტალი დიდ გავლენას ახდენს ინვესტორის გადაწყვეტილებაზე, განახორციელოს თუ არა კაპიტალდაბანდება ქვეყანაში;

[36] http://economy.ge http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

აღნიშნული საკითხი ეხება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ მეწარმეებს. საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც და მისი დაშლის შემდეგაც, 2000-იან წლებში ,,ვარდების რევოლუციამდე'', საკუთრების უფლების მნიშვნელობა საქართველოში დამახინჯებულად იყო აღქმული და პრაქტიკაში გატარებული. ქვეყანაში დღესაც შეინიშნება წარსულის მიერ დატოვებული კვალი. ერთ-ერთ მოხსენებაში წერია, რომ საქართველოს მდგომარეობა შემდეგნაირია: ქვეყანამ გააძლიერა ინვესტორთა საკუთრების უფლებების დაცვის საშუალებები, აქციონერთა როლისა და უფლებების გაზრდით ძირითად კორპორატიულ გადაწყვეტილებებში, ასევე, საკუთრებისა და კონტროლის სტრუქტურის მეტად ძლიერი მეთვალყურეობით; ინვესტორებისათვის გამარტივებულია პროცედურები, სასამართლო უწყებებს მიმართონ, თუ შეამჩნევენ, რომ დაინტერესებულ პიროვნებებს შორის ზიანის მომტან და არასწორ ტრანზაქციებს აქვს ადგილი.გასული წლის მონაცემებით, საქართველომ საკუთრების უფლებისა და ინვესტორთა დაცვის მაჩვენებლით 180 ქვეყანას შორის კუთვნილი მე-2 ადგილი დაიკავა.[37] ჯამში უნდა ითქვას, რომ მიუხედავად რეიტინგების პოზიტიური მონაცემებისა, საქართველო ჯერაც შორსაა ინვესტორთა ფართომასშტაბიანი დაინტერესებისგან.

საინტერესოა, რა ხდება საფონდო ბირჟაზე, გასული წლის ინვესტიციათა უმეტესი წილი ხომ სწორედ ფინანსურ სექტორზე მოდიოდა? იგი მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტად გვევლინება და დიდ როლს ასრულებს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ხოლო მცირე ზომებით გვხვდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში - მათ შორის საქართველოში. იგი წარმოადგენს ერთადერთ ფუნქციონირებად ფასიანი ქაღალდების ბაზარს ქვეყანაში და შექმნილია ამერიკელი ექსპერტების დახმარებითა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით; ფუნქციონირება 2000 წლის მარტში დაიწყო. საფონდო ბირჟაზე დასაქმებულია 6 საბროკერო კომპანია. ესენია: სს ,,გალტ ენდ თაგარტი'', სს ,,სილქ როუდ ბანკი'', სს ,,საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი'', შპს ,,თიბისი კაპიტალი'', სს ,,ჰერითიჯ სქიურითიზ'' და შპს ,,ქართუ ბროკერი''; საშუალო

[37] http://doingbusiness.org https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report_web-version.pdf

გარიგებათა წლიური რაოდენობა ამ ბირჟაზე განსხვავებულია და 2019 წლის მონაცემებით, მან 56 შეადგინა, განსხვავებით 2018 წლისა, სადაც გარიგებათა რაოდენობამ 123 შეადგინა. შესაბამისად, შემცირებულია გარიგებათა ჯამური ღირებულებაც - 278 მლნ. ლარიდან 46 მლნ. ლარამდე.[38] გაუარესებული მდგომარეობის მიზეზი ლარის ცუდ გაცვლით კურსში უნდა ვეძიოთ, ვინაიდან გარიგებები სრულდება ლარში და კურსის გაუარესებისას მხარეები თავს იკავებენ შესაბამისი ოპერაციების შესრულებისგან. აღნიშნული ცვლილება ქვეყნის ეკონომიკისათვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი იმ ფონზე, რომ ინვესტირებათა დიდი წილი სწორედ აღნიშნულ სექტორზე მოდის. უკანასკნელი 8 წლის მანძილზე გარიგებათა მაჩვენებელი ჯერ კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, შემდეგ ზრდის, ბოლოს კი ისევ კლება დაიწყო. წინა წლის მსგავსი დაბალი მაჩვენებელი ქვეყანაში ამ პერიოდში არ დაფიქსირებულა.რა აფერხებს საქართველოში ფინანსური ქაღალდების ბაზრის განვითარებას, როდესაც ქვეყანა პრეტენზიას გამოთქვამს, რომ დასავლური სტილის და პრინციპების მქონე ეკონომიკა ააშენოს? საფონდო ბირჟის დაბალი განვითარების ძირითად მიზეზად მაინც ფირმების აქციებისა და ობლიგაციების სიმცირე გვევლინება, ამ უკანასკნელს კი იწვევს თვითონ სააქციო საზოგადოებების სიმცირე ქვეყანაში და დანაზოგების მფლობელთა მხრიდან აღნიშნული ტიპის ფაისანი ქაღალდების დაბალი მიმზიდველობა; მათ ურჩევნიათ, საკუთარი აქტივები ბანკში შეინახონ ანაბრების სახით, ან სხვა სახის უძრავ ქონებაში ჩადონ. სხვა მხრივ, ქვეყანაში არ არის განვითარებული აქციების მოსახლეობის მხრიდან შეძენის კულტურა. ისევ ისმის კითხვა - რატომ? ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- კერძო სექტორის გამჭვირვალობის დაბალი დონე, იგი ხელს უშლის ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;
- მოსახლეობას კერძო სექტორის მიმართ დაბალი ნდობის ხარისხი გააჩნია, რაც საბჭოთა კავშირის ერთგვარ მემკვიდრეობად ითვლება; გაუთვითცნობიერებლობა კორპორაციული ფინანსების არსში;
- კომერციული სექტორის ფასიანი ქაღალდების მიმართ ცუდი ისტორიული გამოცდილება;

[38] http://gse.ge https://gse.ge/trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2019&to=Dec+31%2C+2019

- კომპანიათა სტაბილური განვითარების მოლოდინის არქონა, რადგანაც საკუთრების უფლებები ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე დაცული და პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ცვლილებების გავლენის ხარისხი ბიზნესზე ჯერაც მაღალ დონეზეა შენარჩუნებული.

21-ე საუკუნის ახალი და ყველასთვის მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც მთლიანად მსოფლიოს ,,დაპაუზება'' გამოიწვია, გახლავთ COVID-19, ახალი კორონავირუსი, რომელიც 2019 წლის დეკემმბერში ჩინეთში გავრცელდა და 2020 წლის დასაწყისიდან მთელ მსოფლიოს მოდეო. ვირუსის გავრცელების პარალელურად გაჩერდა თითქმის ყველანაირი სახის წარმოება, დაიხურა მაღაზიები, მუშაობა შეწყვიტა მოლებმა, მაღაზიებმა, დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდა თითქმის ყველა სფერო. საქართველოში მუშაობა არ შეუწყვეტია მხოლოდ საბანკო, სასურსათო და სამედიცინო დაწესებულებებს. როგორი შედეგი ექნება საქართველოსა და მსოფლიო ეკონომიკაზე ამ ყველაფერს? რას გამოიწვევს რამდენიმე თვით შეჩერებული ეკონომიკური აქტივობები? ზუსტი პროგნოზის გაკეთება რთულია, თუმცა ექსპერტები არცთუ ისე საიმედო ვარაუდებს აკეთებენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვნად წაახალისა მიწოდების ჯაჭვის შექმნა, რომელიც თითქმის მუდმივად კვეთს ქვეყნების საზღვრებს და ეკონომიკებს უფრო მეტად აკავშირებს ერთმანეთთან. აღნიშნული ვირუსის გავრცელების ფონზე ქვეყნებმა საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა აკრძალეს ერთმანეთთან, რაც ხელს უშლის მიწოდების პროცესის ამ ჯაჭვის სრულყოფილად მუშაობას და ეკონომიკურ აქტივობას აფერხებს. Covid 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიერ სქართველოს ეკონომიკასა და ქვეყნის მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანი ჯერაც არაპროგნოზირებადი და მზარდია. სახელმწიფოების მხრიდან მოსახელობის სიცოცხლის გადასარჩენად და პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა - საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ სოციალური დისტანცირების მოტივით, დიდი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, 2020 წელს გლობალური ეკონომიკა მკვეთრი შემცირებით

იქნება გამოხატული და გულისხმობს 3-5%-იან კლებას; სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს კლება 2008-2009 წლებში დაფიქსირებულ კლებაზე უფრო შესამჩნევი და ცუდი მაჩვენებელია[39]. კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული, პირველ რიგში კი იგი უკავშირდება მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას, სადაც დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც ვირუსის პირობებში ყველაზე მეტად დაზიანდნენ - საცალო და საბითუმო ვაჭრობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები და სხვ. ტურიზმის სფეროს გაჩერებამ ასევე საკმაოდ ცუდი გავლენა იქონია როგორც შრომით ბაზარზე, ისე ლარის კურსზე, ვინაიდან ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და უცხოეთიდან შესრულებული ფულადი გზავნილები, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახლდათ. რატომ არ აღმოჩნდა მზად ბიზნესი, ეკონომიკა და დასაქმებული მოსახლეობა მზად ვირუსთან გასამკლავებლად? რამდენად მყარი და საიმედო ინსტრუმენტები გააჩნია სახელმწიფოს კორონავირუსთან საბრძოლველად? როგორ უნდა გადაეწყოს ეკონომიკური სტრუქტურა ისე, რომ მომავალ ეკონომიკურ კრიზისებთან გამკლავება უფრო ეფექტიანად განხორციელდეს? ეს ის კითხვებია, რომლებმაც დღეს საკმაოდ დიდი აქტუალურობა შეიძინა და ეკონომისტები და სპეციალისტები მასზე ღიად საუბრობენ. კორონავირუსმა გამოიწვია ე.წ. ,,პრეკარიატული''(არასტაბილური) სამუშაო ადგილების ,,დაზიანება'', ვინაიდან ისინი მაღალი დონის მოწყვლადობით გამოირჩევიან. აღნიშნული კრიზისი როგორც ადამიანის კეთილდღეობასა ჯანმრთელობაზე მოქმედებს უარყოფითად, არამედ იგი მთავრობის ძალაუფლებასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს; მძიმე დარტყმა მიადგათ კომერციულ ბანკებსაც და ისინი დღეს გადარჩენისთვის და სტაბილურობისთვის იბრძვიან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირებულია ქვეყანაში ,რაც საზღვრების ჩაკეტვამ გამოიწვია. საბოლოოდ, ახალმა კორონავირუსმა გვაჩვენა, რომ ის ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელსაც საქართველო იყენებდა

[39] http://emc.org.ge https://emc.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan?fbclid=IwAR10i56B5OR0RclI8TufD5nVD0nFGkxVLEGsCSLoe_B2sW7MlQJwt9qcG2c

მსოფლიო ეკონომიკაში ადგილის დასაკავებლად და განსავითარებლად, უსარგებლო და ,,გადასაგდები'' აღმოჩნდა.

გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს, არსებული გამოწვევები და სირთულეები დაძლიოს და მიაღწიოს განვითარების იმ საფეხურს, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. მას შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მაჩვენებლები; თუმცა, ცალკე საკითხია ის, რომ ქვეყანამ დღემდე ბოლომდე ვერ დააღწია თავი ბიზნესის საბჭოურ აღქმას, თუმცა ცდილობს ამ ,,ჭრილობის'' მოშუშებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოზე მცირე ზომისა და დაბალი განვითარების ზოგიერთ ქვეყანას სააქციო ბაზრის კაპიტალიზაციის უკეთესი მაჩვენებლები აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უამრავლი დეტალი ერთმანეთს ჯაჭვური რეაქციის მსგავსად უკავშირდება. შემდგომ ნაწილში ვისაუბრებთ იმ მიმართულებებზე და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის გზებზე, რომელიც გატარებულ უნდა იქნას ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ დღეს არსებულ გამოწვევებზე გასამარჯვებლად.

2. განვითარების ძირითადი მიმართულებები და სირთულეთა დაძლევის გზები

როდესაც განვიხილავთ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ვსაუბრობთ მისი მოზიდვის სტიმულირებაზე , ფიქსირებული მონაცემების ანალიზთან და არსებული გამოწვევების ნათლად ჭვრეტასთან ერთად აუცილებელი წესით უნდა იქნას შემუშავებული გარკვეული ინსტრუმენტები და ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას დაეხმარება სხვადასხვა სახის სირთულეებიდან თავის დაღწევაში. საქართველოს შემთხვევაში უნდა დაისახოს ისეთი გეგმები და შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მას იმ სისუსტეების დანახვაში და გამოსწორებაში დაეხმარება,

რაც უკეთესი შედეგების მიღებას აფერხებს. სხვადასხვა დროს სახელმწიფო სხვადასხვა სტრატეგიებსა და გეგმებს ადგენს, რომელიც ქვეყანამ სრულად თუ არა, მაქსიმალურად მაინც დაგეგმილთან მიახლოებულად უნდა შეასრულოს. ასეთებია: სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები, სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან დადებული ხელშეკრულებები და სხვ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო დოკუმენტში, სახელწოდებით: ,,საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია'', რომელიც საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ინიციატივით არის შექმნილი(BAG) 2013 წელს, გვთავაზობს სტრატეგიას, რომელიც 6 წლიან სამოქმედო მიმართულებას და ითვალისწინებს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რასაც უზრუნველყოფს საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაძლიერება რეგიონში. 2020 წლის ბოლოს საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, რომელიც იქნება საშუალოზე მაღალშემოსავლიანი(თუმცა, ეს მიმდინარე წლის ბოლომდე რამდენად მიღწევადია, საკითხავია). დოკუმენტში ხაზგასმულია დეტალი, რომლის თანახმადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე უნდა გახდეს 8 500 აშშ დოლარზე მეტი.[40] ზოგადი მიდგომით კი, აუცილებელია, საქართველო ისეთ ქვეყნად ჩამოყალიბდეს, რომელიც იქნება:

- რეგიონში კონკურენტუნარიანი;
- თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე;
- მაღალი ხარისხის განათლების სისტემის მქონე;
- ექსპორტზე ორიენტირებული და
- ევროპული ღირებულების მატარებელი.

საყოველთაო გლობალიზაციისა და ევროპული ინტეგრაციის პირობებში, საქართველოს საინვესტიციო გარემოს სხვადასხვა ორგანიზაცია აფასებს. SWOT(Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats) ანალიზით მდგომარეობით შეფასებისას საქართველოს საინვესტიციო კლიმატის მდგომარეობა ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ცხრილი5. SWOT ანალიზი საქართველოს საინვესტიციო კლიმატისათვის.

[40] http://bag.ge https://bag.ge/file.helix?i=499677ad-dbe6-49cf-ac6d-a08f1703f61c&r=P&fbclid=IwAR2bjLyv6nd90fm53k0i0CrSUz3U9gj2zw-Th6nMPzLuVvq6XSwXd-fp0Bs

უპირატესობები	ნაკლოვანებები
• ბუნებრივი რესურსები • იაფი შრომითი რესურსები • გეოპოლიტიკური მდებარეობა • დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა • ეკონომიკის გახსნილობა • დაბალი ბარიერები ბაზარზე შესასვლელად	• არაეფექტიანი კონკურენციული გარემო • დარგობრივი სამრეწველო სტრუქტურის დეფორმაცია • სამრეწველო ბაზა • მმართველობითი აპარატის მოუქნელობა • მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია • კადრების შეუსაბამობა მოთხოვნილ სამუშაო პოზიციასთან • ჯერ კიდევ გარკვეული დოზით შემორჩენილი კორუფცია და ნეპოტიზმი • ბაზრის ზომა • გასაღების ბაზრების სიშორე
შესაძლელობები	**საფრთხეები**
• ბიზნესისა და ვაჭრობის შეზღუდვების შემცირება • საერთაშორისო პროექტების განხორციელება • საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა • ევროკავშირთან ასოცირება, ინტეგრაცია და ეკონომიკური ურთიერთობები • საინვესტიციო პროცედურების კიდევ უფრო მაღალი მორგების ხარისხი პოტენციურ ინვესტორებთან • განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მეტი მოცულობით ინვესტიციების მოზიდვა და საინვესტიციო კუთხით საქართველოს მიმზიდველად წარმოჩენა	• ტექნოლოგიური უფსკრულის გადიდება საქართველოსა და მაღალგანვითარებულ დასავლეთს შორის • რეფორმები შეჩერდება და პროცესები შეუქცევად ხასიათს მიიღებს • სხვა ქვეყნების მხრიდან ძლიერი კონკურენცია • გამწვავდება პოლიტიკური კონფლიქტები • უმუშევრობის დონის კიდევ უფრო გადიდება • საბოლოოდ, ეკონომიკური კეთილდღეობის გაუარესება

წყარო:ხურცია ლ. სალექციო მასალა ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები''

ცხრილში მოკლედ არის შეჯამებული ის ოთხი ასპექტი, რომელიც მთლიანობაში აღწერს საინვესტიციო კლიმატს და ზოგად მდგომარეობას ქვეყანაში. ნაკლოვანებებისა და საფრთხეების სწორი ანალიზი და ჩამოყალიბება საშუალებას იძლევა სწორი მიმართულებები განისაზღვროს და სათანადო პოლიტიკა გატარდეს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესიციების ნაკადების გასაზრდელად და ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად აუცილებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესება; ბიზნესგარემოს გასაჯანსაღებლად მხოლოდ ფუდნამენტური პრინციპების დაცვა საკმარისი არ არის; ბიზნესგარემო რაც შეიძლება მისაღები უნდა იყოს ინვესტორისათვის, ამას კი მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, პოლიტიკური და სოციალური

თანასწორობის დამყარება უზრუნველყოფს. სახელმწიფოს მიერ მიღებული და გატარებული რეგულაციები რაც შეიძლება გამჭვირვალე უნდა იყოს და ზედმეტ კითხვას არ წარმოშობდეს; საკუთრების უფლებები სათანადო დონეზე უნდა იქნას დაცული, საჭიროა მუდმივი კონტროლი, რათა მდგომარეობა მწყობრიდან არ გამოვიდეს; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორის პროდუქტიულობის ზრდას.

დასახულ მიზნებს შორის უპირობოდ მნიშვნელოვან კანდიდატად გვევლინება ქვეყნის ინფრასტრუქტურული მოწყობა - დეტალი, რომელიც იმ ფაქტორთა სიის დასაწყისში იმყოფება, რომელსაც ინვესტორი ითვალისწინებს ქვეყანაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული ამოცანა ითვალისწინებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ქვეყნის ენერგეტიკულ უზრუნველყოფას. საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ინფრასტრუქტურა რაც მეტად უკეთ იქნება განვითარებული, მით მეტად ექნებათ ინვესტორებს ქვეყანაში შემოსვლის სტიმულები, ისინი ხომ სტიმულებზე პირდაპირპროპორციულად რეაგირებენ. მარშრუტებისა და მანძილის შემცირება, გამართული გზები, გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიები მეტი მოცულობით ინვესტიციათა მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი საწინდარია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადთა მეტი მოცულობით მოსაზიდად და სირთულეებიდან თავის დასაღწევად არსებულ გზებს შორის ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ღონისძიებები, რომელიც საქართველოს რეგიონული მიზიდულობის ცენტრად აქცევს. ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ერთგვარ გზაჯვარედინს წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რეგიონში საქართველოს გარდა შედის აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი , უკრაინა ყაზახეთი, თურქმენეთი, ბულგარეთი, თურქმენეთი, ირანი, მოლდოვა, რუმინეთი და რუსეთი.[41] აღნიშნული ქვეყნებს შეუძლიათ ჩვეულებრივად გაუწიონ საქართველოს კონკურენცია როგორც ექსპორტში, ისე მშპ-ის წლიურ მოცულობებში და ა.შ. და უკან დახიონ იგი, ამიტომ ამ უკანასკნელს დიდი შრომა მართებს, რათა მიზიდულობის

[41] http://bag.ge https://bag.ge/file.helix?i=499677ad-dbe6-49cf-ac6d-a08f1703f61c&r=P&fbclid=IwAR2bjLyv6nd90fm53k0i0CrSUz3U9gj2zw-Th6nMPzLuVvq6XSwXd-fp0Bs

ცენტრის ფუნქცია შეასრულოს. აუცილებელია, რეგიონში თანასწორიუფლებიანი ეკონომიკური ურთიერთობები დამყარდეს; ჩვენი ქვეყნის, როგორც რეგიონული მიზიდულობის ცენტრის განვითარება, რეგიონის ბაზართა თავისებურებების გათვალისწინებით; და ბოლო, საკმაოდ მნიშვნელოვანი - ქვეყნის პოპულარიზაცია და ხარისხიანი რეკლამა.

სხვა ამოცანებს შორის შეგვიძლია მოვიაზროთ სოციალური დაპირისპირების აღმოფხვრა(როგორც მინიმუმ, შემცირება) ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებთან, რომელიც ასე ძალიან უშლის ხელს ინვესტიციათა შემოსვლას ქვეყანაში; განათლების თანამედროვე და ეფექტური სისტემის შემოღება, რომელიც მიმდინარე და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს მორგებული და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და საბოლოო ჯამში გაზრდის პუი-ების ნაკადებს. რომელი მიმართულებები შეუძლია განავითაროს საქართველომ? ძირითადი სფეროები, რომელშიც საქართველოს ინვესტირებისათვის მიმზიდველ ქვეყნად შეუძლია თავის წარმოჩენა, არის:

- ტურიზმი და უძრავი ქონება;
- მანუფაქტურული წარმოება;
- რეგიონული ლოჯისტიკის დერეფანი;
- ენერგეტიკა;
- ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი.[42]

მიზეზი, თუ რატომ შეუძლია ტურიზმის სფეროში საქართველოს თავის გამოჩენა და ინვესტიციების მოზიდვა ამ კუთხით, პრინციპში, ქვეყნის ისტორიიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, ნათელია - ეს არის საერთაშორისო ტურისტების დიდი რაოდენობა ყოველ წელიწადს, ჩვენ უნიკალური კულტურა და ბუნება, რომელიც მცირე ფართობის ქვეყანაში ბარს, მთას და ზღვას ერთად უყრის თავს; ქვეყანას გააჩნია ზამთრის და ზაფხულის დასასვენებელი კურორტები, რომელიც ინვესტიციებისათვის ზედგამოჭრილია; ქვეყანაში უვიზო მიმოსვლის უფლება აქვს მსოფლიოს 95 ქვეყანას,

[42] http://enterprisegeorgia.gov.ge http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf?fbclid=IwAR3pQ0JnEda7F0zCvry3hMtvmp-ngEwMepT0fEci5GcvTno3BPecwGvah4w

რაც ხელსაყრელ კლიმატს ქმნის[43]; საქართველო მსოფლიოში მეოთხე უსაფრთხო ქვეყანაა.[44] უძრავი ქონების ფლობაზე შეზღუდვები არ არის დაწესებული. ეს სხვა მიზეზები სწორედ ამ პოტენციალს უჩენს ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს გააჩნია მზარდი რეგიონალური ბაზარი, რაც ქვეყანაში მოქმედ კომპანიებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ამ ბაზრით და რეგიონალური იმპორტის შემცვლელი სხვა შესაძლებლობებით. ჩვენი ქვეყანა ხელსაყრელ მდგომარეობაშია იმითაც, რომ 2.3 მლრდ. ბაზართან აქვს საბაჟო გადასახადის გარეშე წვდომა - მას აღნიშნული გარიგებები დადებული აქვს თურქეთთან, დსთ-ს და EFTA-ს წევრ ქვეყნებთან; ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ოპერაციებშია ჩართული, რაც ესოდენ ხელსაყრელია მისთვის. საქართველოში მეწარმეებს დაბალი კომუნალური გადასახადები ეკისრებათ სხვა ქვეყნებთან შედარებით - ელ.ენერგიის 80% წარმოიქმნება ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით, რაც ენერგიის ღირებულებას აიაფებს. მთლიანად რეგიონს შეუძლია რამდენიმე ისეთი პროდუქტის წარმოება გააძლიეროს, რაც მას დიდ მოგებას მოუტანს და ინვესტირების კუთხით გააჯანსაღებს ქვეყნის ეკონომიკას; ესენია: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ჩანთები; საავტომობილო და საჰაერო ნაწილები; ავეჯი; ფარმაცევტული საშუალებები; სამშენებლო მასალები; პლასტმასა და სხვ.[45] ისეთი საერთაშორისო ცნობილი კომოანიები, როგორებიცაა ჰენკელი, JSW, Elbit Systems და სხვ. გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს საქართველოს და აცხადებენ, რომ ქვეყანა გამოირჩევა საგადასახადო სისტემით და ბიზნეს კლიმატით, მზარდი ეკონომიკით, მაღალკვალიფიციური, ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მუშახელი და წარმოების ძლიერი შესაძლებლობები იზიდავს მაღალტექნოლოგიურ ბიზნესს ქვეყანაში.

რაც შეეხება საქართველოს ლოჯისტიკურ დერეფანს, ტრანსკავკასიური სამარშრუტო გზა და გზაჯვარედინი, რომლითაც ევროპა-აზია უკავშირდება ერთმანეთს,

---

[43] http://migration.commission.ge http://migration.commission.ge/index.php?article_id=160&clang=1&fbclid=IwAR32_-p-nHP7IRP4vwPzXIctf2ZPM9RvoqUoDzKtux8IN1uYE7pW4qPereg

[44] http://numbeo.com https://www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp

[45] http://enterprisegeorgia.gov.ge http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf?fbclid=IwAR3pQ0JnEda7F0zCvry3hMtvmp-ngEwMepT0fEci5GcvTno3BPecwGvah4w

უკონკურენტო უპირატესობას წარმოადგენს. საქართველოს სატრანსპორტო ეკონომიკას შეუძლია მოგება მიიღოს დიდი სატრანზიტო ნაკადებიდან; სხვა სატრანზიტო გზებთან შედარებით, ქართული საპორტო დანიშნულების ადგილები მეტად კონკურენტული ფასებით ლიდერობს; სწრაფად განვითარებადი საგზაო ინფრასტრუქტურა, ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი, პირდაპირი დამაკავშირებელი გზა ევროპასა და ცენტრალურ აზიის სარკინიგზო ქსელებს შორის(ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი) წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომელსაც შეუძლია საქართველო ინვესტირებისათვის მიმზიდველ ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახელმწიფოდ აქციოს. როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული ფაქტობრივი მონაცემებისა, არსებული ნაკლოვანებებისა და გამოწვევებისა, დასახული ამოცანებისა და მათი გადაჭრისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობისა, საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების მხრიდან მაინც მოიაზრება იმ სახელმწიფოთა რიგებს შორის, რომელსაც აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, ფლობს საკმარისი რაოდენობით რესურსებს, რათა გახდეს და იყოს ძლიერი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყანა, სადაც პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების დიდი ნაკადები იქნება მოზიდული და ქვეყნის ეკონომიკა მაღალ ნიშნულზე იქნება აყვანილი.

საქართველოს პოტენციალთან და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზებთან დაკავშირებულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ, კონფერენციის სახელწოდება გახლდათ ,, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გლობალურ კონტექსტში, ინფრასტრუქტურული განვითარება და როლი კონკურენტუნარიანობის ზრდაში.'' აღნიშნულ კონფერენციაზე, რომელსაც დისკუსიის სახე ჰქონდა, მონაწილეობდნენ ასევე, ვიცე პრემიერი, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის დირექტორი, სებასტიან მოლინეუსი.[46] ეკონომიკის მინისტრმა დეტალურად ისაუბრა ჩვენი ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ მიღწევებზე და აღნიშნა, რომ საქართველო იქცა ისეთ ქვეყნად, რომლის ექსპორტიც საკმაოდ სწრაფად იზრდება და ეკონომიკურ

[46] http://www.economy.ge
http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1435&fbclid=IwAR2kZdNq7AnAC9DHJX4XXH3QFog6MEJfktaJSxERHiyYH19NZfGFMtDZ6ks

ზრდაში ექსპორტის ზრდის კომპონენტი ერთ-ერთი მთავარი წამყვანი ძალაა. ,,როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენი ეკონომიკური ზრდა არის 5.2% - ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო რეგიონში, აქ ექსპორტი არის მთავარი დრაივერი. თუ მთლიანად ექსპორტი გაიზარდა 12.4%-ით, მათ შორის ევროკავშირში ექსპორტის ზრდა კიდევ უფრო მაღალია - 13%-ით. აქედან გამომდინარე, ეს იყო ჩვენი ეგზისტენციალური, სწორი არჩევანი, რომელიც ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც არის 3.7 მლნ. მოსახლეობისთვის, მოგვცა შესაძლებლობა და დღეს ჩვენს ქართულ ბიზნესებსა და უცხოელ ინვესტორებს ვთავაზობთ ხელმისაწვდომობას თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მეშვეობით, გლობალური ბაზრის 1/3 თან 2.3 მომხმარებლის ბაზარი და ეს არის ჩვენი მომავალი და პოლიტიკური პრიორიტეტი''- აღნიშნა ნათია თურნავამ კონფერენციაზე.[47] ქალბატონი პრემიერის თქმით, საქართველომ წლების წინ აირჩია გზა, რომელიც არის ლიბერალური საბაზრო რეფორმები და ლიბერალური ბაზარი გლობალურ ეკონომიკაში მაქსიმალური ინტეგრაცია და ჩვენი სავაჭრო სივრცისა და ექსპორტის დივერსიფიკაცია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოსაყენებელ ინტრუმენტებზე და სტრატეგიებზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნას დაკონკრეტებული, თუ რა გზებით აპირებს საქართველო ახალი კორონავირუსით გამოწვეული ჩავარდნების გამოსწორებას და თუ სრულად არა, მაქსიმალურად მაინც ძველ მდგომარეობაში დაბრუნებას, ვინაიდან იგი დღესდღეობით ინვესტიციათა მოზიდვის ხელისშემშლელ დიდ ფაქტორადაა ქცეული. ა.წ. 24 აპრილს საქართველოს მთავრობამ მოსახლეობას ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა გააცნო, სადაც მოცემულია ის ღონისძიებები, რომლებიც კრიზისთან გამკლავებას ითვალისწინებს. დაგეგმილია, რომ ჯამში 3.5 მილიარდი ლარი დაიხარჯოს. აღნიშნული გეგმა მოიცავს დახმარებას როგორც იმ პირებისთვის, რომლებმაც აღნიშნული პანდემიის დროს სამსახური დაკარგეს, ასევე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს და შეზღუდვათა მოხსნის ექვსეტაპიან გეგმას.

[47] http://www.economy.ge
http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1435&fbclid=IwAR2kZdNq7AnAC9DHJX4XXH3QFog6MEJfktaJSxERHiyYH19NZfGFMtDZ6ks

- ანტიკრიზისული გეგმის შესრულების პირველ ეტაპზე ქვეყნის მთავრობამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს კომუნალური გადასახადები 3 თვის მანძილზე შეუჩერებლად დაუფარა. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, 1.2 მილიონზე მეტი ოჯახისათვის განხორციელდა გაზის, დენის, წყლისა და დასუფთავების გადასახადის დაფარვა, ხოლო 670 ოჯახისათვის მოხდა ბუნებრივი აირის გადასახადის დაფარვა. ამ მიზნით მთავრობამ 150 მილიონი ლარი დახარჯა.[48]600 000 მოქალაქეს სესხების გადავადების შესაძლებლობა მიეცა; მთავრობამ განახორციელა 9 ძირითად პროდუქტზე ფასების სუბსიდირება და 15 მლნ ლარი დახარჯა; ამავე ეტაპზე ქვეყნის ხელისუფლებამ ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ვადით გადაუვადა ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების გადახდა, 1 ნოემბრამდე(ჯამში 90 მილიონი ლარი). პირველ ეტაპზე განხორციელდა, ასევე, საბანკო სესხების რესტრუქტურიზაციასთან და ავტომობილების განბაჟებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რამაც ჯამურად 260 მლნ. ლარი შეადგინა;
- როგორც გიორგი გახარიამ შეხვედრაზე მაშინ აღნიშნა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 4%-ით შემცირდება, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლები 1.8 მლნ. ლარით დაიკლებს.[49] ანტიკრიზისული გეგმის მეორე ეტაპზე დაგეგმილი იყო უმუშევრად დარჩენილთათვის დახმარება - ის პირები, რომლებმაც კორონავირუსის შედეგად დარჩნენ უმუშევრები, ან გავიდნენ უხელფასო შვებულებაში , 6 თვის მანძილზე მიიღებენ ფულად კომპენსაციას 200 ლარის ოდენობით, ჯამში 1 200 ლარს. აღნიშნული დახმარება 350 000 მოქალაქემ მიიღო და ამისთვის 460 მლნ. ლარი გამოყო. დახმარება შეეხოთ დამსაქმებლებსაც, რომელთაც 750 ლარამდე ხელფასზე სრულად მოეხსნათ საშემოსავლო გადასახადის გადახდა, ხოლო 1500 ლარამდე ხელფასზე მოუწევთ მხოლოდ 750 ლარის ხელფასზე გათვალისწინებული გადასახადის გადახდა. ამას გარდა, ანტიკრიზისული გეგმა ითვალისწინებს დახმარებებს სოციალურად დაუცველთათვის, პენსიონერებისათვის, კერძო სექტორისათვის და სოფლის მეურნეობისათვის.

---

[48] http://www.netgazeti.ge https://netgazeti.ge/news/446340/?fbclid=IwAR0vPd8fllt62fi27lz09Qhst8yfPBgdpX5iY1QrnZ2kVjuprdGPJTGR398

[49] http://www.stopcov.ge https://stopcov.ge/ka/Gegma

- 27 აპრილიდან დაიწყო ქვეყანაში დაწესებული საკარანტინო და საგანგებო რეჟიმის თანდათანობითი მოხსნა; შეზღუდვების მოხსნის ეტაპები 6 საფეხურად დაიყო და საფეხურებს შორის ინტერვალი 2 კვირას შეადგენს.

აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება საქართველოს მოქალაქეის ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გათავისუფლებას, შესაბამისად, ტურიზმის აღდგენას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემდგომ ზრდას. ამ უკანასკნელისათვის პირველ რიგში საჭიროა ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დარეგულირება, ქვეყნის საზღვრების გახსნა, ლარის კურსის გაძლიერება და სხვა საკვანძო დეტალებზე ფოკუსირება, რომელზე ზრუნვაც ერთდროულად მიმდინარეობს.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევისა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ:

- ✓ საქართველოს საინვესტიციო გარემო განსაკუთრებით 2003 წლიდან გამოცოცხლდა, მას შემდეგ, რაც შესაბამისი საკანონმდებლო და ეკონომიკური ღონისძიებები გატარდა. აღნიშნული საერთაშორისო კვლევის შედეგებითაც დასტურდება;
- ✓ ჩვენს ქვეყანაში ინვესტირების უპირატესობებს წარმოადგენს: დაბალი გადასახადები, პროცედურული სიმარტივე, ბიზნესისთვის სასურველი გარემო,კონკურენტული ფასები, მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება, მოქნილი შრომითი კანონმდებლობა და სხვ.;
- ✓ ინვესტიციებისადმი განსხვავებული მიდგომები საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ თანამედროვე პერიოდში არც თანამედროვე და არც ტრადიციული

თეორია არ არსებობს, რომელიც ამომწურავად შეძლებს დაასაბუთოს პუი-ების ნაკადთა ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები;

- ✓ თანამედროვე პირობებში მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიზანია მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ვინაიდან იგი პროგრესთან და ეკონომიკურ ზრდასთან ასოცირდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს საშუალებას აძლებს, დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც თავის მხრივ იწვევს ადგილობრივი კომპანიების გაძლიერებას და საშუალებას იმისას, რომ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი პროდუქცია აწარმოონ;
- ✓ გრინფილდ ინვესტიციების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში ახალი ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს, თუმცა ახალი საწარმოებისა და შენობების მშენებლობა საკმაოდ სარისკო საქმეა;
- ✓ სხვადასხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ემპირიული კვლევების მონაცემები გვიდასტურებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას, თუმცა ინვესტიციათა თეორიული მოდელები ძირითადად ხაზს უსვამენ ინვესტიციათა მიმღები ქვეყნებისთვის მათ დადებით გავლენას;
- ✓ აუცილებელია, საქართველოში ფოკუსირება ძირითადად იმ დეტალებზე გაკეთდეს, რომელიც ინვესტორისთვის მიმზიდველია: სოციალური ფონი, პოლიტიკური სტაბილურობა, კერძო საკუთრების დაცვა, კანონის უზენაესობა და სხვ.;
- ✓ საქართელოში უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ უნდა იყოს ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები; უცხოელ ინვესტორებზე დადებითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ სამუშაო ადგილებზე მიიღონ უცხოელი მუშაკები, რა თქმა უნდა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ საინვესტიციო პრაქტიკაში ვლინდება ტენდენციები, როდესაც ქვეყნების ერთი ნაწილი ახორციელებს უცხოური ინვესტიციების წახალისებას, ხოლო ამის

პარალელურად, ქვეყნების ნაწილი ინვესტიციათა მიმღები ქვეყნებიდან ზღუდავენ ინვესტიციების გატანას;

- ✓ საქართველოს მონაცემები ეკონომიკური მაჩვენებლების ჭრილში, შედარებულია პოსტსაბჭოური ქვეყნების ანალოგიური პერიოდისა და მაჩვენებლების მონაცემებთან, რამდენადაც საქართველოც პოსტსაბჭოთა ქვეყანას წარმოადგენს; 2019 წლის მონაცემებით, საქართველო მშპ-ს მოცულობით, მეზობელი ქვეყნებიდან უსწრებს მხოლოდ სომხეთს და ჩამორჩება რუსეთსა და აზერბაიჯანს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ტენდენცია წლების მანძილზე შენარჩუნებულია და არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ეს ჩამორჩენა პროცენტულად უფრო დაბალი იყო 90-იან წლებში და კონკრეტულად 1990 წელს რუსეთთან მიმართებაში, ვიდრე დღეს არის; აზერბაიჯანთან პროცენტული ჩამორჩენა შემცირდა.
- ✓ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობებით გამოისახება;
- ✓ 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო შესასწავლ 180 ქვეყანას შორის და 44-ე ადგილს ინაწილებს კოსტა-რიკასთან, ჩეხეთთან და ლატვიასთან. იგი 58 ქულით სარგებლობს;
- ✓ 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 141 აღრიცხულ ქვეყანას შორის 74-ე ადგილი უჭირავს. მისი სარეიტინგო ქულა 60.6-ს შეადგენს;
- ✓ 2018 წელთან შედარებით, საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 4 პოზიციით დაწინაურდა და მე-12 ადგილი დაიკავა 180 ქვეყანას შორის, ევროპის მასშტაბით კი რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი უჭირავს, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით;
- ✓ ერთ-ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა დგას და რომელიც საინვესტიციო კლიმატზე უარყოფითად მოქმედებს, არის **ქვეყანაში კონფლიქტური რეგიონების არსებობა;** პრობლემად გვევლინება ასევე, აღნიშნულ რეგიონებთან მუდმივად დაძაბული ურთიერთობის არსებობა;

- ✓ აუცილებელია, საქართველო ისეთ ქვეყნად ჩამოყალიბდეს, რომელიც იქნება:
- რეგიონში კონკურენტუნარიანი;
- თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე;
- მაღალი ხარისხის განათლების სისტემის მქონე;
- ექსპორტზე ორიენტირებული და
- ევროპული ღირებულების მატარებელი.
- ✓ ძირითადი სფეროები, რომელშიც საქართველოს ინვესტირებისათვის მიმზიდველ ქვეყნად შეუძლია თავის წარმოჩენა, არის:
- ტურიზმი და უძრავი ქონება;
- მანუფაქტურული წარმოება;
- რეგიონული ლოჯისტიკის დერეფანი;
- ენერგეტიკა;
- ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი
- ✓ საქართველოს გააჩნია მზარდი რეგიონალური ბაზარი, რაც ქვეყანაში მოქმედ კომპანიებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ამ ბაზრით და რეგიონალური იმპორტის შემცვლელი სხვა შესაძლებლობებით. ჩვენი ქვეყანა ხელსაყრელ მდგომარეობაშია იმითაც, რომ 2.3 მლრდ. ბაზართან აქვს საბაჟო გადასახადის გარეშე წვდომა - მას აღნიშნული გარიგებები დადებული აქვს თურქეთთან, დსთ-ს და EFTA-ს წევრ ქვეყნებთან; ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ოპერაციებშია ჩართული, რაც ესოდენ ხელსაყრელია მისთვის.
- ✓ საქართველოს წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევებისა და სირთულეების მიუხედავად, იგი დღემდე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების მხრიდან მაინც მოიაზრება იმ სახელმწიფოთა რიგებს შორის, რომელსაც აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, ფლობს საკმარისი რაოდენობით რესურსებს, რათა გახდეს და იყოს ძლიერი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყანა, სადაც პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების დიდი ნაკადები იქნება მოზიდული და ქვეყნის ეკონომიკა მაღალ ნიშნულზე იქნება აყვანილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე, რ.(2015). ეკონომიკური განვითარება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. აბესაძე, მ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.(2002) ბიულეტენი.
3. აბრალავა, ა.(2015). ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი.
4. ასლამაზიშვილი, ნ.(2005). უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. თბილისი.
5. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე.(2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
6. ბალცეროვიჩი, ლეშეკ. თავისუფლება და განვითარება. თბილისი.

7. ბალცეროვიჩი, ლეშეკ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბილისი.
8. გველესიანი, რ.(1999). მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი. გამომცემლობა ,,სამშობლო''.
9. გველესიანი, რ. გოგორიშვილი, ი. ეკონომიკური პოლიტიკა: წგ.1. თბილისი
10. გველესიანი, რ. გოგორიშვილი, ი. ეკონომიკური პოლიტიკა:წგ.2. თბილისი.
11. გოგიაშვილი, შ. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში.(2009). თბილისი.
12. ერქომაიშვილი, გ. ბიზნესი-ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები.(2007). თბილისი.
13. კაკულია, ე.(2010). ფინანსები და სიანვესტიციო პოლიტიკა. გამომცემლობა ,,უნივერსალი''. თბილისი.
14. კვარაცხელია, დ.(2008). გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება. საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი.
15. ლეკაშვილი, ე. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლისთვის. ,,გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. გამომცემლობა ,,უნივერსალი''. თბილისი.
16. მანველიძე, ი. ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში.(2009). თბილისი.
17. მექვაბიშვილი, ე. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები.(1998). თბილისი.
18. მუჩიაშვილი, მ.(1996). საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ- ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმა.'' თბილისი.
19. პავლიაშვილი, ს. გარაყანიძე, ზ.(2014). საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი.

20. პაპავა, ვ.(2015). საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა ,,ინტელექტი''. თბილისი.
21. პაპაჩაშვილი, ნ. პუი საქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე. ნაშრომთა კრებული ,,საერთაშორისო ბიზნესი''.(2007). თბილისი.
22. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: ,,საქართველო-2020''.
23. სილაგაძე, ა. (2010). ეკონომიკური დოქტრინები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი.
24. სილაგაძე, ლ.(2017). მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში-ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
25. სიხარულიძე, დ. ჭარაია, ვ.(2018). OLI პარადიგმა და საქართელოს საინვესტიციო პოზიცია. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი''. თბილისი.
26. ურუშაძე, გ.(2015). უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები. თბილისი.
27. ქოქიაური, ლ.(2012). საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა. თბილისი.
28. ქოქიაური, ლ.(2007). ინვესტიციების თეორიული გენეზისი. თბილისი.
29. ყუფარაძე, გ. საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. თბილისი.
30. შენგელია, თ. საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში.(2010). კრებული:ინოვაციები ბიზნესში.
31. ხურცია, ლ.(2006). საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. სამოქალაქო განათლების განყოფილება. თბილისი.

32. Godwin Okafor and Allan Webster (2015). Foreign Direct Investment in Transition Economies of Europe and the Former Soviet Union. Springer.
33. OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment - 4th Edition oecd.org/investment/ fdibenchmarkdefinition.htm.
34. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2016). Foreign Direct Investment in Georgia. International Journal of Arts and Science.
35. Silagadze, L. (2018). Foreign Direct Investment inflow in 1997-2016 years in Georgia, Ukraine and Moldova (comparable analysis). International scientific-practical journal „Globalization and business.''
36. Silagadze, L. (2017). Foreign Direct Investment in the Post-Soviet Period: The Case of Georgia. Ecoforum Journal.
37. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Levan_Silagadze.pdf
38. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/171248/1/Disertacia.pdf
39. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/170996/1/Disertacia.pdf
40. https://www.bis.org/publ/cgfs22bde3.pdf
41. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/37594?publication=0
42. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/37594?publication=0
43. http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13
44. http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/sainvesticio_politika/1-LAW_OF_GEORGIA_ON_PROMOTION_AND_GUARANTEES_OF_INVESTMENT_ACTIVITY_geo.pdf
45. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15
46. http://pbo.parliament.ge/ge/rs/theme/item/528-2019-07-12-14-48-35
47. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042816305675
48. https://tradingeconomics.com/georgia/gdp
49. file:///C:/Users/a/Downloads/67AdminLRev685.pdf
50. file:///C:/Users/a/Downloads/54CanYBIntlL311.pdf
51. file:///C:/Users/a/Downloads/71BusLaw.pdf
52. file:///C:/Users/a/Downloads/94-expert-opinion-geo.pdf

53. file:///C:/Users/a/Downloads/54CanYBIntlL311%20(1).pdf
54. file:///C:/Users/a/Downloads/22-expert-opinion-geo.pdf
55. https://mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf
56. https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report_web-version.pdf
57. https://unctad.org/SearchCenter/Pages/Results.aspx?k=Fdi
58. https://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi
59. https://data.worldbank.org/indicator/BN.KLT.DINV.CD?locations=BY&page=6
60. https://data.worldbank.org/indicator/BN.KLT.DINV.CD?locations=UZ
61. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90
62. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf?fbclid=IwAR159CJA5r8WJPNKeiYShv31vATiO_gpzsuarpsQHuF1Ii0sG8rOt-BscmU
63. http://www.economy.ge/uploads/publications/economy_303939805cdab85766f151.63396294.pdf
64. http://eprc.ge/uploads/brosh/COVID19_geo.pdf?fbclid=IwAR2cnyB1o8xXc46JcNoSbkWETWaV6CMDpSP940Ey0tD33I6ZOW8hDkbEgKg
65. https://bag.ge/file.helix?i=499677ad-dbe6-49cf-ac6d-a08f1703f61c&r=P&fbclid=IwAR2bjLyv6nd90fm53k0i0CrSUz3U9gj2zw-Th6nMPzLuVvq6XSwXd-fp0Bs

66. https://mof.ge/images/File/BDD-new/19-22-BDD-wardgena.pdf?fbclid=IwAR005-G0sih7vwcaTvsFYtiSUk9Dna5A1BvaGy0xU1fCUabXGBJbiTej5qs
67. https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf?fbclid=IwAR1-Zea1qNEwqEuvJDkTXXoR9CRi_LuOZurasid7tefIGGyMMXBUZD80NVA
68. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf?fbclid=IwAR3pQ0JnEda7F0zCvry3hMtvmp-ngEwMepT0fEci5GcvTno3BPecwGvah4w
69. https://www.gogc.ge/ka/projects/all/2/
70. https://transparency.ge/ge/corruption/cpi
71. https://transparency.ge/ge/post/2019-clis-korupciis-agkmis-indeksis-shedegebi-sakartvelos-antikorupciuli-reformebis-stagnaciaze
72. http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf
73. https://www.weforum.org/reports/the-global-competitveness-report-2018
74. http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf
75. http://www3.weforum.org/docs/GCR2017-2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf
76. https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/media/Annual-Reports/English/DB2019-report_web-version.pdf
77. https://idfi.ge/ge/world_justice_project_georgia
78. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83

%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

79. https://bm.ge/ka/article/2020-wlis-quotekonomikuri-tavisuflebis-indeqsshi-saqartvelo-msoflioshi-me-12-adgilzea-/51242
80. https://www.heritage.org/index/ranking
81. https://www.heritage.org/index/pdf/2017/book/index_2017.pdf
82. https://www.heritage.org/index/pdf/2016/book/index_2016.pdf
83. https://www.heritage.org/index/pdf/2015/book/index_2015.pdf
84. https://www.heritage.org/index/pdf/2014/book/index_2014.pdf
85. https://www.heritage.org/index/pdf/2013/book/index_2013.pdf
86. https://www.heritage.org/index/pdf/2012/book/index_2012.pdf
87. https://www.heritage.org/index/pdf/2011/index2011_highlights.pdf
88. https://www.heritage.org/index/pdf/2010/index2010_full.pdf
89. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
90. https://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx
91. https://www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp
92. https://www.geostat.ge/ka/single-categories/122/tsliuri
93. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
94. https://gse.ge/trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2017&to=Dec+31%2C+2017
95. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
96. https://mfa.gov.ge/News/koronavirusis-(COVID-19)-gavrcelebis-prevenciuli-g.aspx?CatID=5
97. http://migration.commission.ge/index.php?article_id=160&clang=1&fbclid=IwAR32_-p-nHP7IRP4vwPzXIctf2ZPM9RvoqUoDzKtux8IN1uYE7pW4qPereg
98. https://emc.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan?fbclid=IwAR10i56B5OR0RclI8TufD5nVD0nFGkxVLEGsCSLoe_B2sW7MlQJwt9qcG2c

99. https://tbccapital.ge/publications/COVID-19--aRdgenis-dinamika-1-1?fbclid=IwAR15rE65cQAZhyKS4mBsEmbnh6CQd7BpgwDoQPA60s5WThAwajdwtktNH5A

100. http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1435&fbclid=IwAR2kZdNq7AnAC9DHJX4XXH3QFog6MEJfktaJSxERHiyYH19NZfGFMtDZ6ks

101. https://netgazeti.ge/news/446340/?fbclid=IwAR0vPd8fJlt62fi27lz09Qhst8yfPBgdpX5iY1QrnZ2kVjuprdGPJTGR398

102. https://stopcov.ge/ka/Gegma

დანართი1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business

Master's candidate: Daraselia Dimitri

Economic policy of stimulating Foreign Direct Investment attraction

Master's program in Economics

The work is made to obtain the degree of Academic Master of Economics

Scientific Supervisor: Academic Doctor of Economics, Assistant Professor Lali Khurtsia

Tbilisi

2020